# გილოცავთ სვეტიცხოვლობას!


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 14 ოქტომბერი, 2010 წელი.

№192 (6558)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





## ერის სიმაღლე



④



ილია მეორე:

## ყველამ უნდა იცოდეს, მათ შორის რუსეთმა, სად მთავრდება მათი საზღვრები

ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ განაცხადა პარლამენტში სტუმრობისას, სადაც უცხოური ქვეყნების სასულიერო დელეგაციას პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე შეხვდა.

— მისმა უწმინდესობამ, რუსეთის პატრიარქმა კირილმა ცხინვალის ე.წ. ხელისუფლებისთვის დამოუკიდებლობის მილოცვის შემდეგ ერთერთ ინტერვიუში თქვა, რომ მას სურს მშვიდობა რუსეთის საზღვრებზე, მაგრამ მის უწმინდესობას არ დაუკონკრეტებია, სად მთავრდება ეს საზღვრები. ყველამ უნდა გაიგოს, მათ შორის რუსეთმა, სად მთავრდება მათი საზღვრები, — განაცხადა ილია მეორემ.

## რა კავშირი აქვთ ერთმანეთთან ② თემურ შაშიაშვილსა და ვალერი გელაშვილს?



რატომ და ვისგან ითხოვს „თეთრების“ ლიდერი 50 ათას დოლარს?







## ზვიადაური რომ პედერასტი ყოფილიყო, ③ ჯოყოლა მასთან პურს არ გატეხდა!

დაგვიანებული პასუხი ბექა მინდიაშვილს და ჟურნალ „ტაბულის“ მთელ შემოქმედებით კოლექტივს

## ② „ისინი, ვინც პუტინმა საქართველოსთან ომით შეაშინა, რუსეთს გაურბიან“

## ⑤ სამცხე-ჯავახეთის დიდი საგანმანათლებლო კერა



## „უნდა მივცეთ რუსეთელებს ნება, ⑧ შეიძინონ პირველადი საცხოვრებლები“

## ◉ პარტიებსა და მოძრაობებში

# რა კავშირი აქვთ ერთმანეთთან თემურ შაშიაშვილსა და ვალერი გელაშვილს?

## რატომ და ვისგან ითხოვს „თეთრების“ ლიდერი 50 ათას დოლარს?

***თემურ შაშიაშვილის ბრიფინგებს ემოცია და უხვსიტყვაობა არასოდეს აკლდა, მაგრამ გუშინდელი პრესკონფერენცია განსაკუთრებით მწვავე იყო. პოლიტიკოსი მწყობრიდან სააგენტო „დრონი. ჯიმ“ გამოიყვანა. ინტერნეტსაიტზე გავრცელებული ინფორმაციით, მოძრაობა „თეთრები“ ევროპაში გახიზნულმა ბიზნესმენმა ვალერი გელაშვილმა 150 ათასი დოლარით დააფინანსა. შაშიაშვილი ირწმუნება, რომ ეს ამბავი მტკნარი სიცრუეა და სააგენტოს სასამართლოში უჩივის.***



**„თავდაპირველად თურმე გოჩა ძასოხოვი მაფინანსებდა, მაგრამ მასთან ჩხუბი მომსვლია. ამის შემდეგ გელაშვილს დავუკავშირდი და მან აღნიშნული თანხა კიევში, სომხურ რესტორანში გადმომცა. ეს არის გაუგონარი ტყუილი. ძასოხოვი სოჭში გავიცანი და ამ ადამიანის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. გელაშვილს კი მხოლოდ ერთადერთხელ შევხვდი ცხოვრებაში, თვითმფრინავში თვითონ გამეცნო, ამის შემდეგ არც მინახავს“**, — ამბობს თემურ შაშიაშვილი.

ბუნებრივია, სტატიის შინაარსიდან გამომდინარე, პოლიტიკოსი ამბობს, რომ ის ვანო მერაბიშვილის შეკვეთილია. **„ყველამ იცის, რომ „დრონი. ჯის“ რედაქტორი გოჩა კაპანაძე მერაბიშვილის ტელევიზიის თანამშრომელია. სახელისუფლებო მანქანა კი მისი მორჩილი მედიით ებრძვის „თეთრებს“**, — ირწმუნება შაშიაშვილი. ის მერაბიშვილის გამონათქვამს იხსენებს: **„ეს ადამიანი უსირცხვილოდ ამბობდა, ჩემი კრედოა, ხელისუფლება ნაკლებად ჩაერიოს პიროვნების ცხოვრებაშიო, არადა ცხოვრება რამდენს დაუნგრია“...**

შაშიაშვილის მტკიცებით, მას მამაპაპური ქონების გარდა არაფერი გააჩნია, ხოლო მოძრაობა „თეთრები“ პარტიის წევრთა შემოწირულობებით არსებობს. ოფისის ქირას არ იხდიან, რადგან მისი მეუღლის საკუთრებაა, პროგრამებზე ენთუზიაზმით მუშაობენ. რაც შეეხება ერთჯერად გამოცემებს, ის სულ რაღაც 2000 ათასი ლარი დაუჯდათ. „თეთრების“ ინტერნეტ-ტელევიზიისთვის 20 ათასი ლარი შევაგროვეთ, 400 წევრი ვართ და 500-500 ლარი დავდეთ. ვისაც სურვილი აქვს, საკუთარი ინტერნეტ-ტელევიზია ჰქონდეს, 30 ათას დოლარად შევუქმნით მაღალტექნოლოგიურ ტელევიზიას და 6 თვის განმავლობაში მოვემსახურებით კიდეც“, — ამბობენ თეთრების პარტიაში.

ღირსების შელახვის გამო, თემურ შაშიაშვილი 50 ათას დოლარს ითხოვს, მაგრამ ირწმუნება, რომ წაგების შემთხვევაში 150 ათას დოლარს თვითონ გადაუხდის „დრონი.ჯის“. „საკუთარ სიმართლეში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. 50 ათას დოლარს როგორც კი მივიღებ, მას ონკოლოგიური სენით დაავადებულ ადამიანებსა და ახალშობილებს გავუნაწილებ“.

ჟურნალისტმა შაშიაშვილს „გაუმაძღარი“ უწოდა, რაც ყველაზე მეტად აღიზიანებს თეთრების ლიდერს. **„თუნდაც რომ ამელო 150 ათასი დოლარი, რა მოსატანია, როცა სააკაშვილის ხელმძღვანელობის დროს მილიარდი დოლარი მიიღო რუსეთიდან (ოფიციალური პირისგანძ მოქალაქეთა კავშირმა. დიდი ფული კეზერაშვილის ხელშია, სათამაშო ბიზნესს ის აკონტროლებს. ტენდერებსა და გრანტებს მხოლოდ სააკაშვილის გარემოცვის ნათესავები იგებენ, მაღალჩინოსანთა კორუფციულ გარიგებებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია“**, ამიტომ შაშიაშვილი ლუსტრაციის კანონის მიღებას სთხოვს პრეზიდენტს, რათა პოლიტიკოსთა წარსული გამჟღავნდეს. მას ისიც აღელვებს, რომ არამარტო სახელისუფლო არხები, არამედ ოპოზიციური ტელეკომპანიებიც ბლოკავენ. 2004 წლიდან არც ერთ ნაციონალურ ტელევიზიას არ მიუწვევია, ხოლო 6 თვეა „მაესტრო“ და „კავკასია“ უკეთებენ იგნორირებას.

ამიერიდან თეთრები უარს ამბობენ ვინმეს ლანძღვა-გინებაზე, ხელისუფლებას ამხელენ, ხოლო ოპოზიციას საკამათოდ და სადებატოდ იწვევენ. 7 ნოემბერს თავისუფლების მოედანზე, პარლამენტის წინ გეგმავენ ხელისუფლების სამართლებრივ და პოლიტიკურ გასამართლებას. ყველა ძალას მოუწოდებენ, სწორედ ამ დღეს დაიწყონ პრეზიდენტის უნდობლობის გამოცხადების პროცესი.



**„თემურ შაშიაშვილი ფრთიანი ფრაზით ამბობს, „სიძულვილის კენჭი რომ გვესროლონ, სიყვარულის ლოდს დავახვედრებთო“. მაგრამ ეტყობა, „დრონი.ჯის“ ზედმეტი მოუვიდა, რადგან თეთრების ლიდერის მტკიცებით, ახლა კენჭების ნაცვლად სწორედ რომ „სიძულვილის ლოდებს“ ესვრიან.**

**თეა მოსია**

## ◉ აქტუალური ინტერვიუ

# „ისინი, ვინც პუტინმა საქართველოსთან ომით შეაშინა, რუსეთს გაურბიან“

**ინტერვიუ „კარნეგის“ მოსკოვის ცენტრის წარმომადგენელთან, პროგრამის „რელიგია, საზოგადოება და უსაფრთხოება“ თანათავმჯდომარესთან, პროფესორ ალექსეი მალაშენკოსთან.**

**— საქართველო ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმს აწესებს. როგორ შეაფასებდით აღნიშნულ გადაწყვეტილებას?**

— ვფიქრობ, რომ ამ სიტუაციაში ეს გადაწყვეტილება ვერაფერს შეცვლის. არ მიმაჩნია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მაცხოვრებლები საქართველოში ნაკადებად გაემგზავრებიან. არ დაგავიწყდეთ, რომ საზღვარზე ქართველებთან ერთად რუსი მესაზღვრეებიც დგანან და მსურველებმა საქართველოში გამგზავრების დროს რუსული საზღვარიც უნდა გადაკვეთონ. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლების ეს ნაბიჯი უფრო პოლიტიზებულია და ოფიციალური თბილისი ცდილობს, თავი ისეთ ძალად წარმოაჩინოს, რომელსაც გადაწყვეტილებების მიღება დამოუკიდებლად შეუძლია. გარდა ამისა, ვფიქრობ, ეს ნაბიჯი გარკვეულწილად სამაგიეროს გადახდაა რუსეთის მიერ აფხაზებისა და ოსებისთვის უვიზო რეჟიმის დაწესებაზე.

**— ქართული მხარე ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ჩრდილოეთ კავკასიაში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ მძიმე ვითარებას და ამ ვითარებაში ჩრდილოეთ კავკასიელებისთვის დახმარების ხელის გაწოდების სურვილს ასახელებს. თქვენ როგორ აფასებთ რეგიონში არსებულ სიტუაციას?**

— ჩრდილოეთ კავკასიაში მართლაც უკიდურესად მძიმე სიტუაციაა. გუშინ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ბასტრიკინმა განაცხადა, რომ „კავკასიაში ომი მიმდინარეობს“. როდესაც ამ დონის ჩინოვნიკი მსგავს განცხადებას აკეთებს, კომენტარები ზედმეტია. ვფიქრობ, იქ სიტუაცია მომავალში კიდევ უფრო დაიძაბება.

**— რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები თვლიან, რომ რეგიონში მიმდინარე ტერორისტულ ქმედებებს სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარება უნდა დაუპირისპირდეს. თქვენ როგორ შეაფასებდით „ჩრდილოეთ კავკასიის სტრატეგიული განვითარების“ რუსულ გეგმას?**

— ვიდრე ეს სტრატეგია არ ამუშავდება, ვერაფერს გეტყვით, რადგან ქაღალდზე დაწერილი არაერთი გეგმა გვინახავს, რომელსაც არ უმუშავია. როდესაც სტრატეგია ამუშავდება, მაშინ გამოჩნდება, როგორ მუშაობს ის. რაც შეეხება თავად დოკუმენტის შინაარსს, მასში განსაკუთრებული არაფერია. საერთოდ, მთავარი არა ისაა, რას წერენ ან ამბობენ, არამედ ის, რას აკეთებენ. ჯერჯერობით კი მხოლოდ ის ჩანს, რომ რეგიონში სიტუაცია ყოველდღიურად უარესდება.

**— ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის დევნილობაში მყოფმა ვიცე-პრემიერმა ახმედ ზაკაევმა ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ „იმარატ კავკაზი“ და მისი ლიდერი დოკუ უმაროვი რუსული სპეცსამსახურების პროექტებია, რომელთა მიზანს ჩრდილოეთ კავკასიაში ეროვნული სეპარატისტული მოძრაობების განადგურება წარმოადგენს, კრემლი კი ამას რეგიონში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლით ამართლებს. თქვენი აზრით, რამდენად სწორად აფასებს ზაკაევი სიტუაციას?**

— რა თქმა უნდა, მსგავს დაჯგუფებებში რუსული სპეცსამსახურები შეღწევას ცდილობენ, მაგრამ არც „იმარატ-კავკაზი“ და არც დოკუ უმაროვი მათი შექმნილი არაა.

**— სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი სერგეი მარკოვი თვლის, რომ „ჩეჩნური სეპარატიზმის“ წინააღმდეგ ომი წარმატებით დასრულდა და ამჟამად ბრძოლა ისლამურ ტერორიზმსა და რადიკალიზმს შორის მიმდინარეობს.**



**თქვენი აზრით, რომელი ძალები იბრძვიან რუსეთის წინააღმდეგ?**

— დიახ, ჩრდილოეთ კავკასიაში არის ისლამური პოზიცია, რომელიც ძალზე რადიკალური და მძლავრია. მთავარი ისაა, რომ ეს ძალები მოსახლეობაში მხარდაჭერით სარგებლობენ. ამიტომ ამ მიმართულებით ბრძოლა გრძელდება და კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

**— რამზან კადიროვმა პუტინის მფარველობით უკვე ააშენა კავკასიაში ისლამური სახელმწიფო ყველა შესაბამისი ატრიბუტით. ამასთან, არსებობს მოსაზრება, რომ ამით მან იმას მიაღწია, რის მიღწევასაც მისი წინამორბედები იარაღით ხელში ცდილობდნენ. კიდევ რამდენი ხანი დაუჭერს მხარს კრემლი კადიროვს და კიდევ რამდენი ხანი ეყოფა ძალა ჩეჩნეთში იმ მდგომარეობის შესანარჩუნებლად, რომელიც სადღეისოდ არსებობს?**

— ვერ ვიტყოდი, რომ მან მსგავსი სახელმწიფოს ბოლომდე აშენება შესძლო. მან ისლამი იმისთვის გამოიყენა, რომ საკუთარი ხელისუფლების ირგვლივ მოსახლეობის კონსოლიდაცია მოეხდინა. კადიროვი მთლად შტერი არ არის, მაგრამ ყველაფერი არ გამოსდის. მას აქვს წარმატებები, თუმცა ასევე აქვს დიდი ჩავარდნები.

**— რუსული მხარე დროდადრო საქართველოში „ბოევიკების“ არსებობის შესახებ განცხადებებს უბრუნდება, თუმცა არც ერთ კონკრეტულ განცხადებას, როგორც მოგვიანებით ირკვეოდა, საფუძველი არ ჰქონია და ეს საერთაშორისო დამკვირვებლებმაც არაერთხელ დაადასტურეს. რისთვის სჭირდება რუსეთს იმის მტკიცება, რომ საკუთარი სახელმწიფოს საზღვრებს ვერ აკონტროლებს?**

— რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული რთული სიტუაციის მიზეზებზე საუბრისას მუდმივად საუბრობს გარკვეულ გარე ძალებზე. პოლიტიკოსების მხრიდან მუდმივად ისმის ბრალდებები, რომ საქმეში აშშ, ინგლისი, ისრაელი და ახლა უკვე საქართველოც ერევიან. მაგრამ ისმის კითხვა: რატომ ჩაერევიან ეს ქვეყნები საქმეში იქ, სადაც კორუფციაა, საზოგადოებას შორის განხეთქილება და ა.შ?! ასე, რომ, ცხადია, ყველაფერს შიგნით არსებული სიტუაცია განსაზღვრავს. რაც შეეხება საქართველოს, მე არასოდეს მჯეროდა, რომ საქართველოში ბოევიკები არიან.

**— არსებული ინფორმაციით, დაღესტანში რუსეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების დამატებითი ჯგუფები შეჰყავთ და ამავდროულად ადგილზე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ჩეჩნური „ზაპადისა“ და „ვოსტოკის“ ტიპის შინაგანი ჯარები იქმნება. თქვენი ინფორმაციით, ხომ არ იგეგმება ჩრდილოეთ კავკასიაში ფართომასშტაბიანი „წმენდა“?**

— დიახ, ვიცი, რომ იქმნება შინაგანი ჯარები. ჩვენმა პრეზიდენტმა ეს მოიწონა, ჩემი შეფასებით კი, ეს უდიდესი შეცდომაა, რომელიც სამოქალაქო ომის გაღვივებას შეუწყობს ხელს და არსებულ სიტუაციას კიდევ უფრო გაამწვავებს.

**— როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ამ რეგიონში სიტუაცია დამშვიდდეს?**

— პირდაპირ გეტყვით, იქ იმდენად რთული სიტუაციაა, რომ მე პირადად გამოსავალს ვერ ვხედავ. მართლა არ ვიცი, რა უნდა გაკეთდეს. უკეთესია, ეს პუტინს და მედვედევს ჰკითხოთ, რომლებიც ფიქრობენ, რომ იციან, რას აკეთებენ. მეც მაინტერესებს, რას იტყვიან ისინი.

**— რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების შეფასებისას რუსეთი აცხადებს, რომ ომი მოიგო და უფრო მეტიც, ომის შემდეგ ახალ გეოპოლიტიკურ დონეზე გადავიდა. თქვენ თუ იზიარებთ ამ მოსაზრებებს?**

— სამხედრო თვალსაზრისით, რუსეთმა, რა თქმა უნდა, მოიგო, მაგრამ თუ პოლიტიკურ წარმატებაზე ვისაუბრებთ, ამ კუთხით კარგს ვერაფერს ვხედავ. რაღაც მიღწევები, რა თქმა უნდა, არის, თუ იმაზე ვსაუბრობთ, რომ რუსეთმა ვიღაც-ვიღაცები შეაშინა. მაგრამ გულახდილი საუბრის შემთხვევაში ვერავინ უარყოფს, რომ რუსეთმა ამ ომის შედეგად არცთუ ცოტა დაკარგა, მათ შორის — პოსტსაბჭოთა სივრცეში. კერძოდ, მათ, ვინც რუსეთმა შეაშინა, არამარტო ეშინიათ მისი, არამედ სურთ, რუსეთთან ახლო ურთიერთობებს გაექცნენ. ის, რომ ბელორუსიამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა არ აღიარა, უკვე მარცხია. როგორც უკვე აღვნიშნე, სამხედრო თვალსაზრისით გამარჯვება ფაქტია, თუმცა პოლიტიკურად რუსეთი ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა და გამოსავალს ვერც ამ სიტუაციიდან ვხედავ. ვიდრე სააკაშვილი ხელისუფლებაშია, ამაზე ლაპარაკიც არ იქნება. ვფიქრობ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ძალიან დიდხანს სახელმწიფო დონეზე ურთიერთობები არ იქნება.

**ლევან ჭითანავა,**
**სააგენტო „პირველი“**

პოლემიკა

# ზვიადაური რომ პედერასტი ყოფილიყო, ჯოყოლა მასთან პურს არ გატეხდა!

## დაგვიანებული პასუხი ბექა მინდიაშვილს და ჟურნალ „ტაბულის“ მთელ შემოქმედებით კოლექტივს

**დიახ, დაგვიანებული პასუხი, რადგან აგერ უკვე ოთხი თვეა, სახლში მიგდია, ჩემი აზრით, ყოველივე ქართულის, მართლმადიდებლურის, ტრადიციულის, გნებავთ, მარტივად, ყოველივე კაცურის მოძულე და მოწინააღმდეგე ჟურნალი „ტაბულა“. და ამ ხნის განმავლობაში ვერ მოვიცალე იმისთვის, რომ პასუხი გამეცა ამხანაგ მინდიაშვილის წერილისთვის სათაურით — „გამარჯვების ფორმულა — ალუდას გზა“.**




დავიწყოთ იმით, რომ ამ ყოველკვირეული, მაღალპოლიგრაფიული სტანდარტებით გამომავალი ჟურნალის ხსენებული (2010. 17-23 მაისი) ნომრის გარეკანს „ამშვენებს“ სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის სიმბოლოს, ორთავიანი არწივის შეგნებულად დამახინჯებული ვარიანტი და მის ქვეშ პათეტიკური წარწერა „როგორ დავამარცხოთ ფაშიზმი“, რაც უკვე ჟურნალის შიგნით და მინდიაშვილის პასკვილზე მიჯრით, ასევე ცნობილი ლიბერასტის და თავისუფლების ინსტიტუტის ასევე მინდიაშვილივით ხორცი ხორცთაგანის და სისხლი სისხლთაგანის, განათლების ხუთწუთიანი ექსმინისტრის გია ნოდიას პასკვილის სათაურიც აღმოჩნდა.

ანუ „ტაბულის“ ამ ნომრის ლაიტმოტივი იმავე დღეებში დარბეული სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობა, მისი ლიდერის და დამფუძნებლის მალხაზ გულაშვილის არასრულწლოვან ვაჟთან ერთად რუსეთში გადახვეწა და 8 ახალგაზრდის დაპატიმრება იყო, რომელთაც, მამა-შვილის დაუსწრებლად ორთვიანი წინასწარი პატიმრობა, ხოლო იმ ბიჭებს ოთხნახევარი წლის პატიმრობა მიესაჯათ, მაგრამ, მოდით, ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ.

ჯერ ვნახოთ, ვინ ბრძანდებიან ამ ჟურნალის ე. წ. შემოქმედებითი კოლექტივის წევრები თუ შეფები, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთს, საზოგადოებაში იდიოზუროზით განსაკუთრებულად ცნობილ ლიბერასტებს დავასახელებ:

მთავარი რედაქტორი გიგა ბოკერიას მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილია, რედაქტორები: ლევან რამიშვილი — რეზო ამაშუკელის მხატვრული შედარება-მიგნებით, იგივე შავი ალბინოსი, ნაცების ერთი მთავარი იდეოლოგი და ქვეყნის ერთ-ერთი რეალური მმართველი ე. წ. რუხი კარდინალი; სანდრო თარხან-მოურავი (აფსუს, რა გვარს აფუჭებს?); და ბოლოს, საპატიო რედაქტორი — დავით პაიჭაძე, ლიბერასტული ჟურნალისტიკის მეტრი, და ამ ჟურნალისტიკის კადრების დაუღალავი „მჭედელი“, ლამის სატანისტების ბუდედ ქცეული ე. წ. ილიას უნივერსიტეტის რექტორი გივი თევზაძე.

ახლა უშუალოდ ამხ. ბექა მინდიაშვილის სტატიაზე, რომელიც ქვესათაურებად არის დაყოფილი, რითაც ავტორს ჰგონია, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ მივყავართ წერილის ფინალთან, ანუ ალუდას გზასთან. აი, ის ქვესათაურიც და ციტატები.

### გამარჯვებული კოკა-კოლა

**„რელიგიურმა ნაციონალიზმმა პირველი მასშტაბური შეტევა 1990-იანი წლების მეორე ნახევარში მაკდონალდსისა და კოკა-კოლას წინააღმდეგ წამოიწყო, ამის მიუხედავად, მაკდონალდსის სასადილოებში დღეს რიგები დგას, კოკა-კოლა კი ქართული სუფრის განუყოფელი ნაწილია“.**

რბილად თუ ვიტყვით, ამხ. მინდიაშვილი ფაქტებს ამახინჯებს, ანუ მარტივად ტყუის და როგორც ლიბერასტების წესია, დემაგოგიის ნაცარს გვაყრის თვალებში, რადგან მეც და საზოგადოებასაც კარგად გვახსოვს, რომ ის „მასშტაბური შეტევა“ ცხონებულმა გურამ შარაძემ წამოიწყო. ოღონდ, არა მაკდონალდსის, როგორც ასეთის, არამედ მისი პირველი ობიექტის განთავსების ადგილის წინააღმდეგ.

რუსთაველის ძეგლის გვერდით მაკდონალდსის შენობის არსებობა ისევე შეუსაბამოა, უწინარესად შინაარსობრივი თვალსაზრისით, როგორც თავის დროზე იმავე ადგილას აეროფლოტის უსახური შენობა ან ჩვენს დროში რიყეზე, მეტეხის ტაძრის თუ ძველი თბილისის რიკულებიანი აივნების ფონზე ოლვეისულტრად მონათლული „მშვიდობის“ ხიდია.

**მაგრამ რა პრობლემაა ლიბერასტებო? გავიტანოთ რუსთაველის ძეგლი, როგორც ალმაშენებლისა, ილიასი, ან დავანგრიოთ, ავაფეთქოთ მეტეხის ტაძარიც და ძველი თბილისიც, როგორც ბევრი რამ დაგინგრევიათ და მომავალ თაობებს ოლვეისულტრა და მაკდონალდსი დავუტოვოთ, როგორც ნიშანი, სიმბოლო, ლიბერასტების გამარჯვებისა რელიგიურ ნაციონალიზმზე!**

იხ. 7 გვ.




ინფორმაცია

## ჩოჩიევის თქმით, თურმე ასი ათასი ოსი დევნილი ყოფილა

**ოსი სეპარატისტები საერთაშორისო საზოგადოებასა და ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს სთავაზობენ, ააშენონ საცხოვრებელი სახლები 100 000 საქართველოდან დევნილი ოსი ეროვნების ადამიანისათვის. ეს განცხადება ოს სეპარატისტთა ლიდერის ე.წ. რწმუნებულმა პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ბორის ჩოჩიევმა გააკეთა. ჩოჩიევის თქმით, ამ ადამიანებს დაკარგული საკუთრების უფლებაც უნდა აღუდგეთ.**

**— საერთაშორისო საზოგადოება, დევნილთა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისარიატი მთელს ქალაქებს აშენებენ წეროვანში და საქართველოს სხვა ადგილებში, იმ პირებისათვის, რომლებიც დაზარალებულები საერთოდ არ არიან და რომლებიც არავის არ გამოუყრია სამხრეთ ოსეთიდან.**

**რატომ არ სურს იგივე გაეროს კომისარიატს დევნილთა საკითხებში, რომ ააშენონ ასეთივე ქალაქები ოსი დევნილებისათვის, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში და დაზარალდნენ მხოლოდ თავიანთი ეროვნების გამო, — აცხადებს ბორის ჩოჩიევი და დასძენს, რომ „რატომ არ განიხილება საცხოვრებლის მშენებლობა ასი ათასზე მეტი ოსი ეროვნების ადამიანისათვის, რომლებიც XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გამოყარეს საქართველოდან მხოლოდ იმის გულისათვის, რომ ისინი ოსები იყვნენ.**

**მისივე თქმით, დღეისათვის ამ ადამიანების საცხოვრებლით უზრუნველყოფას ე.წ. სამხრეთ ოსეთის მთავრობა საკუთარი ძალებით ცდილობს. მეტიც, ჩოჩიევის თქმით, ამ ოს დევნილებს საკუთრების უფლებაც უნდა აღუდგეთ.**

**აღსანიშნავია, რომ ამ საკითხის დაყენებას ოსი სეპარატისტები ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე აპირებენ.**

ჯი-ეიჩ-ენი

წკეპლიკა

## შუშის ხიდი, შუშის სახლი, — შუშას რა თავს ვახლი?..

**შუშა და მინა ორ-ორმარცვლიანი, ოთხ-ოთხასოიანი, ერთნაირი შინაარსის სიტყვებია — ორივე ერთსა და იმავე საგანს გამოხატავს, სხვათა შორის, საკმაოდ გამჭვირვალეს, არც მტერსა და არც მოყვარეს რომ არცრას უმალავს.**

ეგ კია, რომ ჩემი აღქმით, „შუშა“ უფრო ტლანქად გაისმის და „მინა“ შედარებით ნაზად; არადა, ბოლო ხანებში, ქვეყნის პრეზიდენტისა და ერთი-ორი მინისტრის ნებით „აბუმებულ“ მშენებლობასთან დაკავშირებით, შიშინაბგერიანი შუშა უფრო დამკვიდრდა, ვიდრე მინა: შუშის ხიდი, შუშის სახლი, შუშის სასახლე, შუშის შენობა, შუშის ნაგებობა... გაპოპულარებული შუშა, თქვენ წარმოიდგინეთ, პოეტურ სტრიქონებშიც იწონებს თავს, მაგალითად, ამგვარში: შუშის ხიდი, შუშის ხიდი, მტკვარი, მტკვარი, მტკვარი; ან — შუშის სახლი, შუშის სახლი, ვანო, ვანო, ვანო...

ჰოდა, რაკი შუშა „პირველი კაცი“ თუ არა, პირველი სამშენებლო მასალა გამხდარა, რაკი ჩვენი სახელისუფლებო საქმიანობა ისე აწყობილა, რომ ყველას საჭვრეტად, ყველას დასანახად და სრულიად გამჭვირვალედ უნდა იქცეს — მივაგოთ მას (შუშას!) ჯეროვანი პატივი და გავანდოთ ყველა ნაფიქრალი თუ საფიქრალი.

ქართულში გვაქვს სიტყვა „დაშოშმინება“; როგორც ჩანს(!), ახალი რეალობის გათვალისწინებით, მოგვიწევს ნეოლოგიზმის შემოღება: **და-შუშ-მინება;** ვარდოსნულ წელთაღრიცხვამდე სნეული ჩვენი პოლიცია ამჟამად გვარიანად **გამოშუშებული** გამოიყურება, მაგრამ რა ქნას კარგმა მოვარდემა, დროზედ **შუშა** თუ არ მოვა?.. სახელგანსმენილ მინისტრს, ვანოს, თავისი უწყებისათვის ამდენი შუშის სახლის ამშენებელსა და კიდევ მეტის დამპირებელს, შუშის კამათლები შეუკვეთავს თურმე და ნარდის სათამაშოდ როცა იცლის, გაიძახის: **დუშუშა,** კამათელოო!..

შუშის სახლებს **ჯაშუშები** აპროტესტებენ — არ გვინდა გამოვჩნდეთო... ზამთარი მოდის, მოსახლეობამ შეიძლება მოითმინოს უშეშობა, უშეშოდ გაძლოს, მაგრამ **უშუშოდ** — ნურას უკაცრავად! „ძირს ქვა-კირი, მაღლა შუშა, ახლა შუშას არა უშავს“ — მშენებელთა საყვარელი სიმღერა გამხდარა; ხომ გემრიელია მოთუშული ხახვი — რითია ნაკლები **მოშუშული** სახლი?..

დიდ გალაკტიონსაც მივაკითხოთ — მშვენიერო შენობა, **აშუშულო** შენობა, მომკლავს მე უშენობა... კიდევ, ქვეყნის პირველმა პირმა რომ მორიგ ახირებად საპაემანო ოთახის და-შუშ-მინება მოითხოვოს, მაშინ ნახეთ თვალის სეირი, გამჭირვალობა და ხალხის თავშეყრა...

ეკალი ჩემს ენას, მაგრამ ერთიც ვნახოთ, მამალი ქარ-ბორბალა, ქარიშხალი ან გრიგალი დაატყდა თბილის-ქალაქს, სიტყვაზე, მაგარ სეტყვაზე მიდგა საქმე (კიდევ ერთხელ, გამიხმეს ენა!..) — რას შობი მაშინ, გაუძლებენ ასეთ გამოცდას თუ განსაცდელს ეგ შუშის ნაგებობანი?..

ისე, გაშეშებას, გაშეშებულ ყოფნას მაინც **გაშუშება, გაშუშებული** ყოფა სჯობს!

აშშ-სთან მიახლოებული ქვეყანა თუ ვერა, **შშშ**-ისა ხომ გავხდით — შუშით შეკოწიწებული შენობებისა?!.

**ლუკა გორგაძე**

სვეტიცხოველი — 1000

# ერის სიმაღლე

**სვეტიცხოველი ქვაში ამოღერებული უკვდავებაა, საუკუნოებთან შეჭიდებული და გამარჯვებული, იგი ამაყად დგას ხელოვნების უკვდავ ქმნილებათა შორის და შუქურ ვარსკვლავივით ანათებს: „არ არს საქართველოში სიწმინდე, რომელიც გაუტოლდება სვეტიცხოველს სიძველით, სიდიადით, ისტორიული მოგონებებით და ღვთიური განგებულებით“. — წერდა ანტონ ნატროშვილი.**

სვეტიცხოველმა ღირსეული ადგილი დაიკავა არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო არქიტექტურის გენიალურ ქმნილებათა შორის.

**„ჩემი ნამუშევრების ფორმა, რომელიც განსაზღვრავს კიდეც სტილს — სვეტიცხოველია. შემოუარეთ გარშემო ამ გენიალურ ქმნილებას, დააკვირდით გულდასმით და დაინახავთ, რომ იგი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული უმშვენიერესი ხუროთმოძღვრული დეტალებისგან შედგება, ორჯერ ერთი და იგივე დეტალი პრინციპულად, მიზანდასახულად არ მეორდება და ამ მშვენიერებათა თაიგული ერთ დიდ მშვენიერებას, განუმეორებელ სვეტიცხოველს ქმნის“. — წერდა ჭაბუა ამირეჯიბი.**

დიახ, სვეტიცხოველი გენიალურია თავისი ასიმეტრიულობით. აქ ვერც ერთ ფასადს ერთმანეთს ვერ მიამსგავსებ, არც ერთი დეკორი ერთმანეთს არ ჰგავს, ჩუქურთმაც სხვადასხვაა, ყველაფერი ქართულია, თვით კამარათა შეერთებაც კი, ხოლო გარსაცმელი ქვის ჰარმონიაა, პოლიქრონიით დამშვენებული:

**„ამ ტაძრისთვის თვალის შევლება ყოველ დროში სანუკველია: დილით ხვლიკისფერია იგი, მოუღალავი მზით გაშუქებული, შეღამებისას ოქროსცვარულია, ხოლო მწუხრის შემოდგომისას, თუ ვარსკვლავიანმა ცამაც დაადგა თვალი, ცას მიეჭრება მისი მრუმე, ჰარმონიით აღვსილი ხაზების ზესწრაფვა“.** — წერდა კონსტანტინე გამსახურდია თავის „დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენაში“. ალბათ კარგად იცოდა უდიდესმა ხუროთმოძღვარმა არსუკიძემ, რომ ძეგლი ცოცხალი წინაპარია.

სამხრეთის კედელზე მიშენებულია მინიატიურული ეკლესია, რომელიც XIV-XV საუკუნეებში ჩაუდგამთ. ეს პატარა ეკლესია წარმოადგენს იერუსალიმში, გოლგოთას მთაზე, ქრისტეს ჯვარცმის ადგილზე, იმპერატორ კონსტანტინეს ბრძანებით IV ს-ში აშენებულ ეკლესიის არაზუსტ ასლს. იგი აუგიათ იმ ადგილობრივ მორწმუნეთათვის, რომელთაც არ ჰქონდათ საშუალება, იერუსალიმში ენახათ ქრისტეს წამების ადგილი. ეკლესია სვეტიცხოველში ააგეს იმიტომ, რომ ქალაქ მცხეთას ეძახდნენ „პატარა იერუსალიმს“.

**„მეექვსე მსოფლიო კრება თავისი პატივით და ღირსებით მცხეთის საკათალიკოსო სვეტიცხოვლის საყდარს უთანასწორებს კონსტანტინეპოლს, ალექსანდრიას, ანტიოქიასა და წმინდა იერუსალიმს. სხვა გვარად მას წმინდა მცხეთას მეორე იერუსალიმს უწოდებენ“,** — წერს მეუფე ზენონი.

მცხეთას, საქართველოს ისტორიის თავფურცელს, საუკუნეების განმავლობაში იცავდნენ მამა-პაპანი. აქ, მცხეთაში, აღუდგნენ წინ პომპეუსის ლაშქარს და გმირობით გააკვირვეს ბევრის მნახველი რომაელები. აქედან გადიოდა საბრძოლველად ფარსმან ქველი, უებრო ცხენოსანი, მეფე-დაუმარცხებელი, რომელსაც რომის იმპერატორმა ანტონინუს პიუსმა მისი ცხენზე ამხედრებული ქანდაკება ელიანონზე (ომის ღმერთის ტაძარში) დაადგმევინა. აქ, დიდგორთან, მოიპოვა სახელოვანი გამარჯვება — „ძლევაი საკვირველი“ დავით აღმაშენებელმა, წიწამურთან დაამარცხა თეიმურაზ პირველმა შაჰ აბასის სარდალი ალი ყული ხანი, ქსანთან გაავლო მუსრი სპარსთა ლაშქარს გიორგი სააკაძემ, აქ ზეობდა „ლომი იგი ლომთა და გოლიათი გოლიათთა ვახტანგ გორგასალი“.

სამშობლოდან გადახვეწილი მწერალი გრიგოლ რობაქიძე წერდა: **„აი, მცხეთა, როგორც კამარაშემოვლებული „მთელი“ ერთი დაუწერელი პოემა ღვთიურისა და ადამიანის ურთიერთობისა. სვეტიცხოველი ამ ზიარების ქვით ანაშენი ტანია. შედიხარ ტაძარში და ამჩნევ კუთხეში მარჯვნივ პაწა სალოცავს, ძველისძველად აშენებულს. ტაძრის მშენებლებს იგი არ დაუნგრევიათ, თუ ზემოთ ხსენებული ამბები ქართული გენის მადლის ნაპერწკალია, ეს სალოცავი ამ მადლის განხატებაა თვითონ. იგი თითქოს აკვანია იმ პირველი ლოცვისა, რომელიც აქ აღმოხდათ ღვთის ძის მიმართ მღვივიან გულებს. ჩვენ ძველებს ხელი არ უხლიათ მისთვის, რათა არ წაშლილიყო პირველი ლოცვის ნეტარ მაცხოვებელი კვალი.**

**რა სინაზეა აქ, რა სისათუთე ნივთიერებისადმი, რომელშიც ადამიანში შობილ ღვთიურ ნაკადს გაუვლია.**

**ჩემი ნატვრაა, როცა მე ამ სოფლად უკვე აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, მწიფობაში, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანთებდეს ამ პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტს არას ვთხოვ საქართველოს“.**



„შეხედე ტაძარს სვეტიცხოვლისა,
სადაც იწვება უკვდავი ღვენთი,
მაშინ იწამებ გარე ყოვლისა,
რომ აქ ოდესმე ყოფილა ღმერთი“
გიორგი ლეონიძე

სვეტიცხოველი წარმოადგენდა ქართველ მეფეთა განსასვენებელსაც. ისტორიული წყაროების მიხედვით ტაძარში დაკრძალული უნდა იყოს 10-ზე მეტი ქართველი მეფე: ვახტანგ გორგასალი, დავით ულუ, დემეტრე თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე, გიორგი VII, გიორგი VIII, ალექსანდრე დიდი, სიმონ დიდი და სხვა. მაგრამ სამწუხაროდ ჩვენამდე მხოლოდ ვახტანგ გორგასლის, ერეკლე II-ის და გიორგი XII-ის მისანიშნებელმა საფლავის ქვებმა მოაღწიეს.

**„დაუკარით ჯერ ხომ სისხლი**
**გვიდუღს ძარღვში,**
**ჯერ ხომ საროს ფოთლები**
**არ გასცვენია,**
**ჯერ ხომ მცხეთის**
**სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში**
**საქართველოს ცხელი გული**
**ასვენია“**

— წერდა ლადო ასათიანი.

ვინ იცის კიდევ რამდენი ცხელი გული განისვენებს საქართველოს უპირველეს ტაძარში.

ერის სიდიადე მარტო წარსულით არ განისაზღვრება. თუ ჯანსაღ ფესვებზე მასზე უფრო ჯანსაღმა აწმყომ არ გამოიტანა კვირტები, ერი დაბერდება, დაუძლურდება, ამიტომაც არ წყდება კეთილმოწყობის სამუშაოები: სვეტიცხოვლის გალავნის გარეთ, დასავლეთით, მელქისედეკის შესასვლელის გარშემო მიმდინარეობს რესტავრაცია, შენდება სვეტებიანი შენობა, მოედნის მთელი ფართობი დაიფარება ქვიშაქვის (ჩინზისური) კვადრებით, რომელიც საღამოს საათებში განათდება დეკორატიული ნათურებით, არსუკიძის ქუჩა მთლიანად დაიფარება გრანიტის ქვებით.

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მიმდინარეობს მუხლჩაუხრელი მუშაობა, გუგუნებენ ბულდოზერები, ამწეები, ბოლში გახვეულან ავტომცლელები, თავზე წითელ კრამიტებს იხურავენ სახლები, ქართულ ჩოხა-ახალუხით იკაზმებიან ფასადები, ლამაზი რიკულებით თავს იწონებენ აივნები, მწვანე კაბას იცვამენ ახალი გაზონები, ქვის არშიებს ივლებენ ქუჩა-შუკები. უეცრად ეცვლებათ იერსახე სულ ცოტა ხნის წინათ უსახურ უბნებს, სადღაც გაჰქრნენ, მიწაში ჩაძვრნენ ობობას ქსელივით ცაში დაბურდულ-დახლართული ტელეფონის და ელექტრონის სადენები.

არაგვისა და მტკვრის შეერთების ადგილას, მარჯვენა სანაპიროზე, იქ, სადაც ანტიოქიის დარბაზული ეკლესიაა, რომლის გვერდითაც სარკესავით კრიალა წყლის ზედაპირი ლივლივებს, ხოლო მაღლა მთის კორტოხზე ჩაფხუტიანი გუშაგივით შემართული ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების თავგვირგვინი, VI საუკუნის ჯვრის მონასტერი იწონებს თავს, შრომის მეორე ფრონტია გაშლილი. აშენდა და 14 ოქტომბრისთვის ამოქმედდება სავაჭრო დახლები, სადაც გაიყიდება სუვენირები, წიგნები, ბუკლეტები, ქალაქის ხედების ფოტოსურათები, სამკერდე ნიშნები, მედალიონები, რომლებიც მცხეთის პოპულარიზაციას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. მტკვრის მარცხენა ნაპირზე შენდება ნიჩბოსნების სპორტული ბაზის შენობა, მტკვარზე და არაგვზე გაზრდილი მცხეთელი სპორტსმენები შეჯიბრებებში შეერკინებიან აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნიჩბოსნებს. მოპირდაპირე მხარეს გაშენდა სკვერი, სადაც შეიძლება დაისვენონ მსუბუქი ავტომანქანებით ჩამოსულმა სტუმრებმა. სახურავით დაიფარა კვების ობიექტი, რომელიც მოემსახურება სვეტიცხოველში ჩამოსულ მგზავრებს, მცხეთის ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად მოსულ სტუმრებს. რესტავრაცია უტარდება მრევლიშვილების სახლს, სადაც ცხოვრობდნენ ქართველი ფერმწერი და გრაფიკოსი, თანამეროვე ქართული რეალისტური ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებელი ალექსანდრე მრევლიშვილი, ბავშვების საყვარელი პოეტი მაყვალა მრევლიშვილი, მალე აქ ამ შემოქმედთა ექსპოზიცია გაიხსნება.

ამ დროისთვის დამთავრდება ავტოგასაჩერებლის მშენებლობაც, რომელიც განტვირთავს სვეტიცხოვლის გარშემო ქუჩებს, დღეს რომ ავტომანქანებითაა გადაჭედილი ძეგლთან მისასვლელები, გზები და მოედნები.

დღე და ღამე არ ისვენებენ ფირმა „ოცნების სახლის“ მშენებლები:

***— ჩვენთვის კარგა ხანია აღარ არსებობს დასვენების დღე, დრო ცოტა დარჩა, აუცილებლად უნდა მოვასწროთ. ხარისხი სამაგალითო უნდა იყოს, განა შეიძლება სვეტიცხოვლის გვერდით უსახური რამ აშენდეს.*** — გვეუბნება „ოცნების სახლის“ ხელმძღვანელი გოჩა ვაშკლევიჩი.

***— ჩვენ უკვე მცხეთელებს გვეძახიან, აქ გვიღამდება და გვითენდება, მეუღლეს და შვილებს მცხეთა დავათვალიერებინე და ისინიც მცხეთის სიყვარულით „დაავადდნენ“, ტელეფონით სულ იმას მეკითხებიან, ხომ კარგად მიდის მშენებლობა.*** — საუბარში გვერთვება სამუშაოთა მწარმოებელი ნუგზარ ფაილოძე.

***— პირს არ შევირცხვენთ, მცხეთა მთელი საქართველოსია.*** — შორიდან გვეძახის რესტავრატორი შოთა გულბანი.

***— სვანებმა ღალატი არ ვიცით!***

***— სვეტიცხოველს შემოევლოს ჩვენი სიცოცხლე, არსუკიძის უკვდავ ქმნილებას თითოეული ჩვენგანი უნდა მოემსახუროს!*** — ამბობს სამუშაოს მწარმოებელი გოგა ამირიძე.

სვეტიცხოვლის გარემოს კეთილმოწყობა-რესტავრაციისათვის ასევე იღვწიან შპს „ბებეს“ (უფროსი — ზურა მაჩხანელი), შპს „ნოდოს“ (უფროსი — გოჩა ომარაშვილი) და შპს „არტესის“ (უფროსი — ამირან ჟღენტი) მუშაკები.

ასე რომ, არსუკიძის მიერ შექმნილი უკვდავი ტაძრის 1000 წლისთავს მცხეთა გაღიმებული შეხვდება. ამიტომ დასტრიალებენ თავს ყველა სამშენებლო ობიექტს თუ საცხოვრებელ სახლს სახელმწიფო რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში ბატონი ცეზარ ჩოჩელი, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ანდრო კალანდაძე. ყოველდღიური შრომის შედეგს კითხულობენ და მშენებლებს ეხმარებიან თბილისელი ხელმძღვანელები.

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ თეიმურაზ აბაშიძეს არსუკიძის ქუჩის მშენებლებთან შევხვდით:

**— ძლივს გიპოვეთ ბატონო თემურ, ეტყობა მოგეძალათ საქმეები, ხომ არ დაიღალეთ?**

***— როცა შრომობ ფარნავაზის, ფარსმან ქველის, ბაკურის, პეტრე იბერის, ვახტანგ გორგასლის ქალაქის აშენება-დამშვენებისთვის, იმ ენერგიით იმუხტები, რომელიც სპობს ყოველნაირ დაღლილობას, იმ ხალხს ვემსახურებით, ვინც ჩვენს გვერდით ცხოვრობენ, ვისაც ყოველდღე ვესალმებით, ვისთან ერთადაც გვიღამდება და გვითენდება, ვცდილობთ რითაც შეგვიძლია დავეხმაროთ, მხარში ამოვუდგეთ.***

„სიცოცხლე ხანმოკლეა, ხელოვნებაა მარადიული“, წერდა ჰიპოკრატე. ხოლო კონსტანტინე გამსახურდია ასე განსაზღვრავდა ხელოვნების სამანს:

**„ხელოვნებაა თვით უკვდავება. მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი, ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს, მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“.**

ვალერიან მამუკელაშვილი



რესტავრირებული არსუკიძის ქუჩა.

უმაღლესი სკოლა

# სამცხე-ჯავახეთის დიდი საგანმანათლებლო კერა

## ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 20 წლისაა

***ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი...***
***— 20 წლის წინათ, საქართველოს ძირძველ, ისტორიულ კუთხეში — სამცხე-ჯავახეთში, როცა ადგილზე პრობლემები ჰქონდა ქართულ სახელმწიფოებრიობას, როცა უჭირდა ქართულ სიტყვას და საქმეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი იწყებს ფუნქციონირებას.***
***თავდაპირველად სამი ფაკულტეტის — ისტორიის, ფილოლოგიის და ეკონომიკის სამ სპეციალობაზე იწყებენ სწავლას სტუდენტები. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შენობა-ნაგებობები ძალზე მოკრძალებული იყო. პროფესორ-მასწავლებლებსაც მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა, მაგრამ საქმე არავის მიუტოვებია, რადგან ყველას ჰქონდა გაცნობიერებული, რომ აქ მესხეთი იყო და საქმეს არ ეღალატებოდა. 5 წლის შემდეგ უკვე 177 კურსდამთავრებული ჰყავდა უნივერსიტეტს. ბევრი მათგანი მშობლიურ უნივერსიტეტში დარჩა სამუშაოდ.***

**როინ ყავრელიშვილი, სსიპ ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება-კოლეჯის რექტორი, ახალქალაქისა და ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი:** უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში 1990 წელს ჩავირიცხე, ანუ ჩვენ მესხეთში ვიყავით პირველნი, ვინც პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად დავიწყეთ უმაღლესი სასწავლებლის ისტორია სამხრეთ საქართველოში. განსაკუთრებული გრძნობით იყვნენ ჩვენდამი უნივერსიტეტის პედაგოგები. მართალია, სწავლის პირობები არცთუ სახარბიელო იყო, მაგრამ იმდენად მაღალი პატრიოტული ატმოსფერო სუფევდა ირგვლივ, რომ შეუძლებელი იყო ეს ჩვენ, სტუდენტებსაც არ გადმოგვდებოდა. ამან დადებითი შედეგი მოიტანა. გამოგიტყდებით, იმ პატრიოტული გრძნობის მადლი და გამოცდილება დღემდე მომყვება, რაც დადასტურდა კიდევაც 2002 წელს ჯავახეთში უნივერსიტეტის ფილიალის გახსნით.

ხაზგასმით მინდა ვთქვა: როგორც თსუ იყო დედაუნივერსიტეტი ახალციხის ფილიალისთვის, ასევე ახალციხის უნივერსიტეტი არის ახალქალაქის კოლეჯისთვის დედა და გზის გამკვალავი. დღეს ახალქალაქის სასწავლებლის თანამშრომელთა უდიდესი ნაწილი ახალციხის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია.

* * *

გადიოდა წლები, ახალციხის უნივერსიტეტს თანდათანობით ემატებოდა ფაკულტეტები და სპეციალობები, აკადემიური პერსონალი, ეწყობოდა კაბინეტ-ლაბორატორიები, ფართოვდებოდა სამეცნიერო კონტაქტები და გაცვლითი პროგრამები საქართველოს თუ მეზობელი ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან. შესაბამისად იზრდებოდა ახალციხის უნივერსიტეტის მიერ გამოშვებული პროფესიონალი კადრები.

**დავით ათუნაშვილი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი:** სკოლის დამთავრების შემდეგ თავისუფლად შემეძლო დედაქალაქის რომელიმე უმაღლეს სასწვლებელში გამეგრძელებინა სწავლა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, არც მიფიქრია. მე ხომ მესხი ვარ და ვთვლი, რომ პატრიოტული გრძნობა მესხებში მოჭარბებულადაა. იმდენად დიდი იყო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის ავტორიტეტი და სწავლების დონე, რომ 1993 წელს გავხდი ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი. ძალზე კარგი კურსი, ლექტორ-მასწავლებლები მყავდა. ახალციხის უნივერსიტეტში მიღებულმა ცოდნამ დიდი როლი ითამაშა ჩემს პროფესიონალად ჩამოყალიბებაში.

* * *

დროის ცვლილებასთან ერთად შეიცვალა უნივერსიტეტის სტატუსიც და იგი ახალციხის ნაცვლად მესხეთის ფილიალი გახდა. აქ უბრალო სიტყვების მონაცვლეობაში არ არის საქმე, ამ დროს ფილიალი მხარის მასშტაბით მართლაც ერთ-ერთი უმთავრესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება იყო.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია უნივერსიტეტის არაქართველ სტუდენტებთან მუშაობის კარგი გამოცდილება. როგორც ცნობილია, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი სომხურენოვანი საქართველოს მოქალაქეები არიან. არასწორი სახელმწიფოებრივი თუ საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგად, არაქართული მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ცუდად, ან საერთოდ არ იცოდა ქართული ენა.

უნივერსიტეტის მესხეთის ფილილმა, მართლაც რომ, შედეგიანად იმუშავა ამ მიმართულებით. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება და აშკარად შეიმჩნევა არაქართველთა ქართველ სტუდენტებთან ინტეგრაცია.

**ოქსანა ანტონიანი, ახალციხის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, არასამთავრობო ორგანიზაციის „World Vision Georgia" თანამშრომელი:** რუსული სკოლა მაქვს დამთავრებული, უნივერსიტეტში ინგლისური ენის სპეციალობაზე ჩავაბარე, ქართული ენა ცუდად ვიცოდი. უნივერსიტეტში სწავლის დროს არაქართველთათვის დამატებით ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფები ფუნქციონირებდა. ისე შევისწავლე ქართული, რომ ამჟამად ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში შემიძლია მუშაობა.

* * *

უნივერსიტეტის დღევანდელმა ხელმძღვანელობამ კიდევ უფრო გააუმჯობესა ამ თვალსაზრისით მუშაობა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარადგინა პროექტი არაქართველი აბიტურიენტებისთვის და საჯარო სკოლის მომავალი დირექტორებისთვის ქართული ენის სწავლების შესახებ. პროექტი დაფინანსდა და წარმატებულადაც მიმდინარეობს მისი განხორციელება.

ბოლო ხანს უნივერსიტეტში ბევრი რამ შეიცვალა როგორც სტრუქტურულ-ორგანიზაციული, ისე სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებით. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 31 ივლისის №161 დადგენილებით განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს რეორგანიზაცია, გამოეყო მესხეთის ფილიალი და მის ბაზაზე დაფუძნდა სსიპ ახალციხის სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც უფლებამონაცვლე იყო თსუ მესხეთის ფილილის ნაწილში, ხოლო 2009 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის №183 განკარგულებით, სსიპ ახალციხის ინსტიტუტი სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი გახდა.

2010 წელი ახალციხის უნივერსიტეტისთვის საიუბილეოა, მას დაარსებიდან 20 წელი უსრულდება. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უნივერსიტეტმა ბოლო სამი წლის განმავლობაში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია.

ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი დღეს სამცხე-ჯავახეთის მხარის ერთადერთი აკრედიტებული, მრავალპროფილიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც მონაწილეობს ბოლონიის პროცესში და მისი დიპლომი აღიარებულია მსოფლიოს 179 ქვეყანაში.

ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება უმაღლესი პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. ამჟამად უნივერსიტეტში 5 ფაკულტეტის 35 სპეცილაობაზე მიმდინარეობს სწავლება.



აქვე დიდი მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ადრე სტუდენტებს 2 ცვლაში უწევდათ სწავლა, პრეზიდენტის მხარდაჭერით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, 2009 წელს ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მეორე სასწავლო კორპუსს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი და დანგრევის პირას მისული, უსახური შენობა თანამედროვე კაბინეტ-აუდიტორიებით აღჭურვილ კორპუსად იქცა. ამ შენობაშივეა თანამედროვე სტანდარტებით გარემონტებული საკონფერენციო დარბაზი, რომელიც თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის **სიმონ ზაზაძის** დაფინანასებით განხორციელდა და მისი მამის პავლე ზაზაძის სახელობისაა.

უნივერსიტეტს აქვს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ქსელი, ოთხი კომპიუტერული ლაბორატორია, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ჩართულია მსოფლიო საბიბლიოთეკო ქსელში. ახალციხის უნივერსიტეტის უცხოელი პარტნიორებია: აშშ-ს — კენტუკისა და კოლორადოს, თურქეთის — ყარსის, არტაანის, ართვინის, ორდუს, ტრაპიზონის, არზრუმის უნივერსიტეტები, საბერძნეთის — სალონიკის, აზერბაიჯანის — ბაქოსა და ნახჭევანის, სომხეთის — ერევნისა და გიუმრის უნივერსიტეტები.

**ჰალის გოზფინარი, ორდუს (თურქეთის) უნივერსიტეტის თანამშრომელი:** ახალციხისა და ორდუს უნივერსიტეტებს შორის დადებული მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების შესაბამისად ძალიან მჭიდრო და ფართო თანამშრომლობა დამყარდა.

ამ თანამშრომლობის შედეგია, რომ მე ერთი წელია უკვე ახალციხის უნივერსიტეტში ვარ თურქული ენის სპეციალობის სტუდენტების დასახმარებლად და პირიქით — ქართული ენის შესწავლისათვის პრქტიკის მისაღებად.

ადგილზე ძალზე თბილი და პროფესიული გარემო დამხვდა. ქართული ენის შესასწავლად უკეთეს ადგილს ვერც ვინატრებდი.

დადებული ხელშეკრულებების შედეგად ჩვენმა უნივერსიტეტებმა არაერთ ერთობლივ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა. მიმდინარე წლის ნოემბერში კი ორდუში გაიმართება საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელშიც ახალციხის უნივერსიტეტის 7 მომხსენებლის გარდა 70 ქვეყნის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

* * *

ახალციხის სახელმწიფო საწავლო უნივერსიტეტში სტუდენტური ცხოვრება ძალზე შინაარსიანია. არჩეულია სტუდენტური თვითმმართველობა და ფუნქციონირებს სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფები. უნივერსიტეტში არსებობს სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლები, რომელიც წარმატებით გამოდის საქართველოსა და უცხოეთში გამართულ ღონისძიებებსა და ფესტივალებზე; ჩამოყალიბებულია „სტუდენტური დასი", „მოგზაურთა კლუბი", სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფები, ინტელექტ-კლუბი და დებატ-კლუბი. ამავე დროს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხმის ჩამწერი სტუდია, სხვადასხვა სპორტული სექცია. ყოველკვირეულად იმართება ლიტერატურული ხუთშაბათები. უნივერსიტეტში სისტემატიურად იმართება როგორც სტუდენტთა, ასევე პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციები, სესიები, სიმპოზიუმები. უნივერსიტეტს აქვს სამეცნიერო გამოცემები, გამოდის აგრეთვე გაზეთი „მესხეთის უნივერსიტეტი".

ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი არის მხარეში ყველა მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელების ბაზა და ხელშემწყობი. კერძოდ, დღეისთვის უნივერსიტეტში ხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ცენტრის პროექტი „პროფესიონალი მასწავლებელი საქართველოს მომავლისათვის". ახალციხის უნივერსტიტეტში განთავსებულია ბიზნეს ცენტრ „კავკასიის" ახალციხის ოფისი, სადაც სტუდენტები გადიან ტრენინგებს და დასაქმებულები არიან მცირე პროექტების მომზადებაში. ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უნივერსიტეტში ახორციელებს პროექტებს: „ასწავლე საქართველოსთვის", „მასწავლებელთა მაძიებლობის პროგრამა", და „ასწავლე ქართული, როგორც მეორე ენა" და ა. შ.

ერთი სიტყვით, ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტს ყველა პირობა აქვს შექმნილი იმისთვის, რომ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბდეს.

სიახლეების ძიებამ ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ექსტენციის სამსახურამდე მიიყვანა, რომელიც სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარიის ფაკულტეტთან შეიქმნა. ექსტენციის სამსახური საშუალებას აძლევს ამ დარგის სტუდენტებს — პროფესიული უნარჩვევების განვითარებისავის, ასევე უფასო კონსულტაციებით ადგილობრივ ფერმერებსაც ემსახურება.

**თინა გელაშვილი, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი:** ჩვენი მიზანია უახლოეს ხუთ წელიწადში საგანმანათლებლო მუშაობა მივმართოთ იქითკენ, რომ ახალციხე ვაქციოთ საუნივერსიტეტო ქალაქად. ამისთვის კი, აუცილებელია კიდევ უფრო გავზარდოთ აკადემიური პერსონალის ხარისხობრივი მაჩვენებელი, ვგეგმავთ მაღალრეიტინგული პროფესურის მოწვევას, სწავლების დონის გაუმჯობესებას, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს პროგრამული აკრედიტაციის გავლისთვის. უახლოეს ხანში ვაპირებთ სასწავლო პროცესის მართვის პროგრამის დანერგვას, ასევე, გაიხსნება ენათა ცენტრი, სადაც მოხდება ენის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემა დონეების მიხედვით. ასევე, სერიოზულ მუშაობას გავწევთ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისთვის. უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებს მალე შეემატება ვალეში მდებარე შენობა, რომელიც არც თუ დიდი ხანია გადმოეცა უნივერსიტეტს. მისი რეაბილიტაციის შემდეგ, თანამედროვე სტანდარტებით გარემონტებული კორპუსი იფუნქციონირებს თურქეთის სახელმწიფოს საზღვრიდან 2 კმ-ში, სადაც ისწავლიან სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარიის ფაკულტეტის სტუდენტები.

ასევე, ჩვენს სამომავლო გეგმაში შედის საერთაშორისო საუნივერსიტეტო კავშირების გაღრმავება.

გვაქვს პრობლემებიც, რომელთა გადაწყვეტა, ჩვენი და ხელისუფლების წარმომადგენელთა საერთო ძალისხმევას მოითხოვს.

დღევანდელმა ვითარებამ დაგვანახვა, რომ უნივერსიტეტისთვის ჰაერივით აუცილებელია სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის ქონა. ჩვენ გვყავს და მომავალშიც გვეყოლება რეგიონის ფარგლებს გარედან ჩამოსული სტუდენტები, ამას ემატება უცხოეთის პარტნიორი უნივერსიტეტებიდან ახალციხის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლის მსურველ სტუდენტთა რაოდენობა, რომელთა საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილება ერთობ პრობლემურია.

უნივერსიტეტს აქვს დახურული ტიპის სასპორტო დარბაზი, რომელიც ფართობით ერთ-ერთი დიდია მხარის მასშტაბით (888,4 $მ^2$ძ, მისი სრულყოფილად გარემონტებისთვის საკმაოდ დიდი თანხაა საჭირო, რისი საშუალებაც ამ ეტაპზე უნივერსიტეტს არა აქვს. იმედია, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო მხარს დაგვიჭერს ამ პრობლემის მოგვარებაში.

დიდი მადლიერების გრძნობით მინდა აღვნიშნო ხელისუფლების ყველა რგოლის წარმომადგენელთა ტრადიციული თანადგომა ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისადმი, რაც მუშაობაში მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს.

* * *

**ასეთია 20 წლის უნივერსიტეტის წარსული და დღევანდელობა.**

**ვერიკო მოდებაძე,**
**ახალციხე.**

◉ გლობუსი

# კონგრესის არჩევნებისათვის გამიზნული განცხადება

**აშშ კონგრესის არჩევნების ციებ-ცხელებაშია. დემოკრატებისთვის ქულების შეძენის მიზნით არც პრეზიდენტი ობამა ზოგავს ძალებს. გახშირდა მისი ვიზიტები შტატებში, შეხვედრები ამომრჩევლებთან. გასულ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატთა გამარჯვება ამომრჩეველთა განაწყენებით იყო გამოწვეული. რესპუბლიკური ადმინისტრაციისა და კონგრესის უნიათო რვაწლიანმა მმართველობამ ამერიკელ ელექტორატს დაანახვა, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა.**

პრეზიდენტ ბუშის სუსტმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, ორი ომის გაჩაღებამ, მათში მილიარდობით დოლარის ჩაყრამ, ამერიკელთა სოციალური პირობების გაუარესებამ, ეკონომიკური კრიზისის შექმნამ, მთელს მსოფლიოში ამერიკელთა იმიჯის მკვეთრად დაცემამ თავისთავად გამოიწვია ახალი აზროვნებისთვის მხარის დაჭერა. საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული ბარაკ ობამა იმ ახალი იდეების მატარებელი აღმოჩნდა, რომელსაც ასერიგად ელოდა ამერიკელი ამომრჩეველი. გუანტანამოს ციხის დახურვა, ერაყიდან ჯარის გამოყვანა, ავღანეთში სამხედრო კონტიგენტის გაზრდა და შეტევის ისე გაფართოება, რომ უახლოეს პერიოდში შესაძლებელი გამხდარიყო ჯარის გამოყვანა; რუსეთთან, ირანთან, მუსლიმანურ სამყაროსთან, პარიტეტულ საფუძველზე, ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება, ახლო აღმოსავლეთის საკითხის მოგვარება და, რაც მთავარია, მსოფლიოში ამერიკელთა დაკარგული იმიჯის გამოსწორება.



განვლილმა ორმა წელმა როგორც ამერიკელებს, ისე მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ დაპირების შესრულება არცთუ იოლია. მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილებისა, გუანტანამოს ციხე ჯერაც არსებობს, არც ახლო აღმოსავლეთის მრავალწლიანი პრობლემის მოგვარებას უჩანს პირი. მიუხედავად ისრაელის ხელისუფლებაზე აშშ-ს ადმინისტრაციის დაბეჯითებული ზეწოლისა, პალესტინა-ისრაელის დიალოგი ჩიხშია შესული. ისრაელის მთავრობის მიერ გამოცხადებულ მორატორიუმს – პალესტინელთა ტერიტორიაზე ახალდასახლებათა მშენებლობის შეჩერებასთან დაკავშირებით, ვადა გაუვიდა. იუდეიასა და სამარიარში ისევ გაცხოველდა მშენებლობა, რაც პალესტინელთა პროტესტს იწვევს. მოლაპარაკების განახლების წინაპირობად პალესტინელები მშენებლობის შეწყვეტას მოითხოვენ. მას მხარს უჭერს არაბთა ლიგა. ობამას ადმინისტრაცია თხოვს ისრაელის ხელისუფლებას, ორი თვით მაინც გააგრძელს მორატორიუმი, მაგრამ ებრაელები კატეგორიული წინააღმდეგნი არიან. მათი აზრით ორთვიანი მორატორიუმის მოთხოვნა აშშ-ს კონგრესის არჩევნებითაა განპირობებული. მისი დასრულების შემდეგ ადმინისტრაცია განახორციელებს უფრო მკაცრ ზეწოლას ისრაელის ხელისუფლებაზე.

არც ირანის მიმართულებით მომხდარა დიპლომატიური გარღვევა. ობამას დაპირება უპირობო დიალოგის დაწყებასთან დაკავშირებით, საწინააღმდეგო მოქმედებით შეიცვალა. ვაშინგტონის დაჟინებული მოთხოვნით გაეროს უშიშროების საბჭომ ახალი სანქციები შემოიღო ამ ქვეყნის მიმართ, თუმცა არც ამას დასჯერდა და საკუთარიც დაუმატა. ამას წინათ ჰილარი კლინტონმა ორი ირანელი მაღალჩინოსანი – ისლამის რევოლუციის დაცვის ძალების ხელმძღვანელი და შინაგან საქმეთა მინისტრი შერისხა ანტიჰუმანური ქცევისთვის, რომელიც მათ გამოავლინეს ირანელ დემონსტრანტთა მიმართ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამართული დემონსტრაციების დროს. აშშ-ს არ მოსწონს ირანელთა მხრივ ბირთვული კვლევის საქმეში ურანის გამდიდრების პროცესის გაგრძელება. ამერიკულ მასმედიაში გახშირდა მუქარა ირანის ბირთვული ობიექტების დაბომბვის თაობაზე. არც ირანი რჩება ვალში. გაეროს 65-ე გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლის დროს პრეზიდენტმა აჰმადინეჟადმა მკაცრად გააკრიტიკა აშშ-ის ადმინისტრაციის კურსი.

ობამას ადმინისტრაციამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია რუსეთთან ურთიერთობაში. „გადატვირთვის" პროცესი მოქმედებაშია. რეალური შედეგებიც გაჩნდა – სტრატეგიული დამკვრელური ბირთვული რაკეტების შემცირების ხელშეკრულების სახით. ჩვეულებრივად იქცა რუსეთის საჰაერო სივრცის გამოყენება ავღანეთში მიმავალი ამერიკელი და ნატოელი სამხედროებისა და ტვირთებისთვის. მოსკოვმა მხარი დაუჭირა ირანის წინააღმდეგ სანქციების შემოღებას, მან უარი თქვა ირანისთვის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა C-300 მიყიდვაზე. და სხვა.

**მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესება უარყოფით რეაქციას იწვევს რესპუბლიკელებში. მათ მიაჩნიათ, რომ რუსეთის მიმართ მხოლოდ მკაცრი პოლიტიკა უნდა გატარდეს და არავითარ დათმობას, თუნდაც ისეთს, როგორიცაა ვაშინგტონის თანხმობა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებაზე, ადგილი არ უნდა ჰქონდეს. რესპუბლიკელები დაბეჯითებით მოითხოვენ უკრაინა-საქართველოსადმი ბუშის დროინდელი პოლიტიკის აღდგენას. მათ მიაჩნიათ, რომ ამ ქვეყნების მიმართ, ობამას ადმინისტრაციამ უღალატა ამერიკულ სამოკავშირეო პრინციპებს, რომ ადმინისტრაცია ნაკლებად კატეგორიულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ჯარების გაყვანის მოთხოვნაში და სხვა.**

დემოკრატთა პრობლემებს ემატება ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გაჭიანურება. სპეციალისტთა აზრით, ამერიკაში შეჩერდა კრიზისი და დაიწყო ეკონომიკური გაჯანსაღების პროცესი, თუმცა მისი ტემპი დაგეგმილთან შედარებით მოკრძალებულია. ამერიკულმა ეკონომიკურმა კრიზისმა მწვავედ იმოქმედა მთელ მსოფლიოზე, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებზე, იაპონიასა და რუსეთზე. მხოლოდ ბოლო თვეებში შეინიშნება გაჯანსაღება, თუმცა სრულამდე ჯერაც ბევრია გასაკეთებელი. ეკონომიკის ზრდის ტემპით ყველას ჩინეთმა აჯობა, საშუალო წლიური მაჩვენებლით – 10 პროცენტი. გაცილებით მოკრძალებულია სხვა ქვეყნების მაჩვენებლები, თუმცა წინსვლა შეიმჩნევა. წინსვლაა აშშ-ც, მაგრამ, როგორც აღვნიშნე არა ისეთი, როგორიც დაიგეგმა. განსაკუთრებული შეშფოთების საგანია უმუშევრობის ზრდა. მან 10 პროცენტს მიაღწია. ამერიკელი ამომრჩეველი ეჭვის თვალით უყურებს ობამას გეგმას, რომლის მიხედვით, საბანკო საქმის გადარჩენა-გააქტიურებისათვის სახელმწიფომ დიდი ფულადი დახმარება გაიღო. შედეგად, დასაქმების საკითხი ნაწილობრივ მაინც უნდა მოგვარებულიყო, თუმცა, ჯერჯერობით ნანატრი სამუშაო ადგილები არ ჩანს. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხების ახალმა კანონმა აშშ-ს მოსახლეობა ლამის ორ ბანაკად გაჰყო. მართალია დემოკრატებს გამოკითხვით უფრო მეტი უჭერს მხარს, მაგრამ კანონმა მნიშვნელოვნად დააზიანა ობამას რეიტინგი. ის დიდი ხანია ჩამოცდა 50 პროცენტს.

ყოველივე აღნიშნული სერიოზულად მოქმედებს ამერიკელ ამომრჩეველზე. თუ ორი წლის წინათ რესპუბლიკელებზე განაწყენებულმა, დემოკრატებს დაუჭირა მხარი, არ არის გამორიცხული, რომ დემოკრატთა დაპირებების შეუსრულებლობამ რესპუბლიკელებისკენ გადახაროს. კონგრესში რესპუბლიკელთა დიდი რაოდენობით შესვლა გაურთულებს დემოკრატ ობამას დასახული მიზნების განხორციელებას.

კონსერვატორი ამერიკელი ელექტორატის მიზიდვის მიზნით ობამას ადმინისტრაციას ისღა დარჩენია გამოხატოს კატეგორიულობა და პრინციპულობა, დაანახოს ამომრჩეველს, რომ არც ისეთი კრავია, როგორც რესპუბლიკელები უწოდებენ.

მკაცრი პოლიტიკის დემონსტრირებაში ირანს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამერიკის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნებმა, დღე არ ჩაივლის ერთხელ მაინც, არ გაჰკენწლონ ირანი. ფაქტიურად აგორებულია ანტიირანული ისტერია, რომლის დროს ობამას ადმინისტრაცია ორ კურდღელს იჭერს – აჩვენებს რა ამომრჩეველს საკუთარ პრინციპულობას და ამასთანავე დიდი რაოდენობით იარაღს ჰყიდის ირანის მეზობელ სპარსეთის ყურის ქვეყნებს. ამ ქვეყნებმა აშშ-ს 123 მილიარდი დოლარის იარაღი შეუკვეთეს. აღნიშნული ქვეყნებიდან ყველაზე მსხვილი შემკვეთი საუდის არაბეთია. მან 67 მილიარდი დოლარის იარაღი დაუკვეთა. ის 85 ახალ გამანადგურებელ F15 მიიღებს. გაერთიანებულმა საამიროებმა 40 მილიარდი დოლარის იარაღის მიღებაზე გააფორმეს ხელშეკრულება. შეკვეთებია კუვეიტისა და ყატარის მხრიდან. რეგიონისთვის ამერიკული იარაღის მიწოდება მარტო ვაჭრობა არ არის. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია სათადარიგო ნაწილების მიწოდება, რემონტი, ტექნიკური სპეციალისტების მივლინებაც და სხვა, რაც აღნიშნულ ქვეყნებში ამერიკის გავლენის გაფართოების მაუწყებელია.

**ამერიკის ადმინისტრაციის სიმკაცრე სხვა კუთხითაც აღინიშნება, რომელთაგან ჩვენთვის მნიშვნელოვანია ჰილარი კლინტონის თითის ქნევა რუსეთის მიმართ, თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ზაფხულისა და ბოლო განცხადებაში სიახლე არაფერია. როგორც მაშინ, ისე დღეს ვაშინგტონი ითხოვს ჯარის გაყვანას ოკუპირებული ტერიტორიებიდან და ა. შ. განცხადება კარგია, მაგრამ იქნება თუ არა ის ეფექტიანი, ძნელად დასაჯერებელია. ეს განცხადება, ისევე, როგორც ისრაელისთვის 2-თვიანი მორატორიუმის გაგრძელების მოთხოვნა საარჩევნო ფანდია, ელექტორატის ხმების მოსაზიდადაა გათვალისწინებული და არა რეალური შედეგებისთვის, ანუ ისეთისათვის, რაც ქართულ საქმეს წაადგება. რუსეთს აწყობს ობამას ადმინისტრაციის წარმატება, ამდენად ის მზადაა, აიტანოს კრიტიკა, მითუმეტეს, როდესაც კარგად იცის, თუ რას ნიშნავს ის. კლინტონის სიტყვები უფრო მეტად საშინაო დანიშნულებისაა, ვიდრე საგარეოსი, მითუმეტეს რუსეთისათვის განკუთვნილი. ამიტომაც არ მოჰყოლია მას ოფიციალური კრემლის მხრიდან საპასუხო კრიტიკა. ხვდება თუ არა დიპლომატიურ თამაშს საქართველოს ხელისუფლება, ძნელი გამოსაცნობია. შესაძლოა, დაბალი პოლიტიკური ცოდნის გამო ვერც ხვდებოდეს, მაგრამ რომც ხვდებოდეს, საკუთარი ხალხის თვალში ნაცრის შესაყრელად და პოზიციების გასამაგრებლად კლინტონის სიტყვებს მნიშვნელობა აქვს. სხვა მხრივ ის ვერ შეცვლის არსებულ ვითარებას.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◉ ინფორმაცია

## ჩრდილოკავკასიელები უპრობლემოდ გვეწვევიან

**ჩრდილოეთ კავკასიაში ბინადრობა დადასტურდება ბინადრობის დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტით, ნათქვამია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.**

**– საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილების თანახმად, რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების (ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, დაღესტანი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი და ადიღე), მაცხოვრებლებს საქართველოს ტერიტორიაზე უვიზოდ შემოსვლის უფლება მიეცათ. ჩრდილოეთ კავკასიის მაცხოვრებლებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საზღვრის გადაკვეთის მაქსიმალურად კომფორტულ პირობებს შეუქმნის, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.**

**ამასთან, განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლების აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს ქართველი და ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების ტრადიციული ძმური ურთიერთობების აღდგენისათვის ხელშეწყობას, მათთვის საშუალების მიცემას, ისარგებლონ ყველა იმ უპირატესობით, რომლითაც სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები და ქვეყნის სტუმრები ბოლო წლების განმავლობაში გატარებული რეფორმებისა და მიღწევების შედეგად.**

**– ჩრდილოეთ კავკასიის მაცხოვრებლებს შესაძლებლობა ექნებათ, საქართველოში იმოგზაურონ, დაკავდნენ ბიზნესით, მიიღონ განათლება, დაისვენონ და ისარგებლონ ყველა იმ სიკეთით, რომელსაც კორუმპირებული და რეპრესიული ფედერალური რეჟიმის პირობებში მოკლებული არიან სამშობლოში. საქართველო გახდება ხიდი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის მაცხოვრებლებს ცივილიზებულ სამყაროსთან დააკავშირებს, – აცხადებენ შსს-ში.**

ХО-ЭОВ-ЭНО

## განცხადება

**ცხადდება** ღია კონკურსი იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფარმაცევტული ტექნოლოგიის ლაბორატორიაში მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად, რბილი წამლის ფორმების ტექნოლოგიაში, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი ან ფარმაციის აკადემიური დოქტორი.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

- პირადობის მოწმობის ასლი
- კალენდარული ავტობიოგრაფია (CVძ
- მეცნიერებათა დოქტორის (კანდიდატისძ დიპლომის ქსეროასლი
- სამეცნიერო პუბლიკაციების საერთო რაოდენობა, გამოქვეყნებული ძირითადი სტატიების ნუსხა (ფარმაცევტულ ტექნოლოგიაშიძ
- ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომის ქსეროასლი

საბუთების მიღება იწარმოებს იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში.

მისამართი: ქ. თბილისი, პ. სარაჯიშვილის ქ. №36 (11 სთ-დან 16-საათამდეძ შაბათ-კვირის გარდა.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2010 წლის 3 ნოემბერი.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:
ტელ: 52-19-04-102; 52-47-98.
www.geokip.com
e-mail:info@geokip.com

ინსტიტუტის დირექტორი
ზ. ქემოკლიძე

პოლემიკა

# ზვიადაური რომ პედერასტი ყოფილიყო, ჯოყოლა მასთან პურს არ გატეხდა!

## დაგვიანებული პასუხი ბექა მინდიაშვილს და ჟურნალ ,,ტაბულის'' მთელ შემოქმედებით კოლექტივს

(მესამე გვერდიდან)

ზემელის შემდგომ „მაკდონალდსის" ბევრი „ტოჩკა" გაიხსნა თბილისშიც და რაიონებშიც, მაგრამ მათი ფუნქციონირების წინააღმდეგნი არა ვართ „რელიგიური ნაციონალისტები". ოღონდ ერთი კია, „მაკდონალდსის" მსოფლიო ქსელის საფირმო ნიშანი სწრაფად და იაფად „თოხლაობას" ნიშნავს. ჩვენთან იაფის რა მოგახსენოთ და, ისე სწრაფად გაგფცქვნიან „მაკდონალდსში" რომ თავი ფეშენრესტორანში გეგონება და თუ სამართლიანები ხართ, ეს გააპროტესტეთ, თქვე ლიბერასტებო!

რაც შეეხება კოკა-კოლას, არც მაგის წინააღმდეგი იყო ცხონებული გურამ შარაძე და არც ჩვენ, ჯერჯერობით ცოცხალი, „რელიგიური ნაციონალისტები" ვართ. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, როდესაც საბჭოთა კავშირში კოკა-კოლა ლამის ანტისაბჭოთა სიტყვად ითვლებოდა, 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადამ პეპსი-კოლა „გვაჩუქა" (ახლა არ მითხრათ, კოკა სხვაა და პეპსი სხვაო!ძ, და მას შემდეგ მაგ ქიმიას მეც ვეტანები, განსაკუთრებით „პახმელიაზე".

ჩვენ, რელიგიურ ნაციონალისტებს, თურაშაულის პატრონის ანდაზა გვაწუხებს, ანუ ის, რომ გენიალური მიტროფანე ლაღიძის ლიმონათის ქარხნები პეპსის და კოკა-კოლას ქარხნებად გადააკეთეს, რუსთაველზე საუკუნოვანი ტრადიციების მქონე „ლაღიძის წყლები" გააუქმეს, სადაც სხვადასხვა ხილისგან დამზადებულ ვაჟინიან წყლებს აგემოვნებდნენ ჩვენი მამაპაპანი, თორემ გინდა კოკა სვით და გინდა პეპსი, ვინმემ ერთბაშად გემოთი არ განასხვაოთ!

კიდევ ერთი ციტატა — **„ამავე პერიოდში ქართველი ფუნდამენტალისტების დიდი წინააღმდეგობის შემდეგ თბილისს რომის პაპი ეწვია, საპატრიარქოს ცივი დახვედრის მიუხედავად, სპორტის სასახლეში პონტიფექსმა კათოლიკური ლიტურგია შეასრულა".**

არა, ცივ დახვედრაში რას გულისხმობს ამხ. მინდიაშვილი, ჩვენს პატრიარქს რომის პაპისთვის ფეხები უნდა დაეთბილა? თუ ქართველ ფუნდამენტალისტებს მამაპაპური რჯულისთვის მიგვეფურთხებინა და იქვე, სპორტის სასახლეში კათოლიკურად მოვნათლულიყავით?

ამას ვერ ეღირსებით!

...— **„იბრძოდნენ პირადობის დამდასტურებელ მოწმობებში ეთნიკური კუთვნილების ჩანაწერის გამოც. მათი მარცხი** (აქ უკვე „მათი" არ არის დაკონკრეტებული, ალბათ რელიგიურ ნაციონალისტებს და ფუნდამენტალისტებს ერთად გულისხმობს ლიბერასტი ავტორიძ **იმის მანიშნებელი იყო, რომ „ქართველი" მოქალაქეობას ნიშნავს".**

ამხანაგო მინდიაშვილებო! შინაურ ცხოველებსაც კი, მაგალითად ძაღლებს (ე. წ. დვორნიაშკების, ანუ უჯიშოების გარდაძ პირადობის მოწმობაც აქვთ შიგ ჩაწერილ ჯიშიანობასთან ერთად, რაც, ჩვენს, ადამიანების შემთხვევაში ეთნიკურ კუთვნილებას ნიშნავს. თუმცა ადამიანებშიც არსებობენ დვორნიაშკები, ანუ უჯიშოები, რომელთაც, როგორც წესი, ლიბერალისტები განეკუთვნებიან.

ასეთი რამ თვით ბოლშევიკებსაც არ მოსვლიათ თავში. მიუხედავად მათი იდეოლოგიის კოსმოპოლიტური ბუნებისა და იმისა, რომ მრავალეთნიკური იმპერიის ეფექტური მართვისთვის თითქოს უპრიანი იქნებოდა ყველა ეროვნების ნიველირება.

შემდეგ ავტორი ეხება ჰარი პოტერის ვითომ აკრძალვის მოთხოვნას, დიდ ათეულს, იელოველებს, და ვინჩის კოდს და ა. შ. რასაც დასკვნითი აბზაცის ციტირებით გვთავაზობს.

**...„მაკდონალდსი თუ რომის პაპი, სათვალიანი კეთილი ჯადოქარი ბიჭუნა თუ დიდი ათეულის სატელევიზიო პროექტი, და ვინჩის კოდი თუ იეჰოვას მოწმეები ცივილიზებული მსოფლიოს მიერ დომინოს პრინციპით გაზიარებული გლობალური პროდუქტებია. როდესაც საჯარო სივრცეში ეს არგუმენტი რელიგიურ ნაციონალიზმს უპირისპირდებოდა, ეს უკანასკნელი მარცხს განიცდის. ასეთ შემთხვევებში არც საპატრიარქოს ოფიციალური პოზიცია ჭრიდა და არც გენიის ცეცხლით დამუქრება".**



**აი, ამაზეა ნათქვამი, ფურუნკული გასკდაო. სწორედ ესაა უბედურება, რომ ეგ ყველაფერი ნეომასონთა გლობალისტების გლობალური პროექტებია, რაც საბოლოო ჯამში ყოველივე ქართულის, ტრადიციულის ამოძირკვას ისახავს მიზნად. უპირველესად, ჩვენი შვილების შემეცნებაში, ანუ იმიტომ მაღიზიანებს ის „სათვალიანი კეთილი ბიჭუნა", რომ ჩვენი ბავშვების შემეცნებაში ასფურცელას, ხუთკუნჭულას, ირმისას თუ სხვა მრავალი ქართული ზღაპრების კეთილი, ვაჟკაცური პერსონაჟების ადგილს იკავებს. თორემ ვინ მამაძაღლი — ჰარი პოტერიც იცოდნენ.**

ასე რომ, ამხანაგო მინდიაშვილო! ჰარი პოტერს, რომის პაპს, იელოველებს, და ვინჩის კოდს, მაკდონალდის თუ სხვა გლობალურ „სიკეთეებს", შენისთანებს რომ უნდათ, ე. წ. დომინოს პრინციპით ვერ გავიზიარებთ — ცოტას დავფიქრდებით „რელიგიური ნაციონალისტები" და ქართველი ფუნდამენტალისტები თუ რას, რის სანაცვლოდ გვთავაზობს გლობალიზაცია და ამის შემდეგ გადავწყვეტთ, რა უნდა მივიღოთ და რა — არა.

### სამეფო ვნება

**ასეა დასათაურებული წერილის შემდეგი ქვეთავი და აი ციტატაც — „მარცხი იწვნია სამეფო ოჯახის შექმნის იდეამ. იგი ისეთმა უნივერსალურმა ფენომენმა გააფერმკრთალა, როგორიცაა ოჯახური ღალატი და სექსუალური ლტოლვა".**

რამხელა ბოლმა, ირონია, სარკაზმი და ბოროტი სიხარული, რუსულად უფრო კარგად ჟღერს — „злорадство" — იგრძნობა ამ მცირე ციტატაში!!! და იქვე — **...„ამას წინათ საპატრიარქოში „მოდერნიზებული" ქართული ტრადიციული მოდის ჩვენება გაიმართა, ხოლო მანამდე პატრიარქმა ჩოხებით სიარულის იდეოლოგიური მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა. იგი მიიჩნევს, რომ ქართველმა მართლმადიდებლებმა ტრადიციული სამოსი სწორედ გლობალიზმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად უნდა ატარონ. მაგრამ ჯინსი, ჯერჯერობით, უშეღავათოდ ამარცხებს ჩოხა-ახალუხებსა და ჩიხტიკოპებს".**

**ყველას კარგად გვახსოვს თუ როგორ ყოველმხრივ ეცადნენ, ხელისუფლებაში მოკალათებული ხლისტები, რომ დინასტიური ქორწინების რიტუალი მის უწმინდესობას არ ჩაეტარებინა. ჰოდა, სწორედ ამიტომ იწვნია მარცხი სამეფო ოჯახის შექმნის მცდელობამ და არა იდეამ, რადგანაც ჩემი ღრმა რწმენით, იმ წყვილს სწორედ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობის ილია II პირადი ხელდასხმის მადლი დააკლდა. მაგრამ ეს რწმენის საკითხია, რასაც მინდიაშვილისნაირი მანქურთები ვერ გაიგებენ.**

რაც შეეხება „ჯინსების გამარჯვებას", მის უწმინდესობას ის არ უთქვამს, რომ ჩოხა-ახალუხები ყოველ ცისმარე ჩაიცვითო. ჯინსებზე არც მე ვამბობ უარს, მაგრამ რომ მქონდეს, სადღესასწაულო დღეებში, დიახაც, თუნდაც პროტესტის ნიშნად, სიამოვნებით ჩავიცვამდი მამაპაპურ ჩოხას.

რაც შეეხება იმას, რომ თურმე — **„უშუალოდ დემოკრატიისა და ლიბერალიზმის საპირწონედ საპატრიარქო „მართლმადიდებლურ იდეოლოგიას"** (აქ წინწკლებს მინდიაშვილი აშკარად ცინიზმის ხაზგასასმელად ხმარობს. — **ავტ.**ძ **და მონარქიის იდეას ახმოვანებს, მაგრამ იგი აქტიური პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებას ვერ ახერხებს, რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით რუსეთს, ზვიად ძიძიგურსა და მალხაზ გულაშვილს".**

ამაში ნაწილობრივ მართალია ეს ხლისტი ლიბერალი, რადგან პოლიტიკურ მხარდაჭერას ეს იდეა ვერც საქართველოს „გამოსოროსირებულ" ხელისუფლებაში და მით უმეტეს, ვერც „განათლებულ" დასავლეთში ჰპოვებს, საიდანაც მოგვახვიეს თავს ეს მანქურთ-ნაცები. რაც შეეხება რუსეთს, ზვიად ძიძიგურსა და მალხაზ გულაშვილს, დიახაც, მონარქიის იდეა სულ უფრო აქტიური ხდება ერთმორწმუნე რუსეთშიც და თუ საქართველოს მოსახლეობასაც ვკითხავთ, იმათ გარდა ვისაც ტვინი გამოურეცხეს იმით, რომ მონარქიის აღდგენა ბატონყმობის აღდგენას ნიშნავს, ყველა ნორმალური ორივე ხელით მიესალმება ამ იდეას.

„ტაბულა" ლაშა ბუღაძესაც ექომაგება, რომელსაც თავის დროზე წმინდა თამარ მეფის შეურაცხყოფის გამო საპატრიარქოში ახსნა-განმარტებების მიცემა და ბოდიშის მოხდა მოუწია.

მადლობელი იყოს „მწერალი" ლაშა ბუღაძეც და მისი გულშემატკივრებიც, რომ მცირედი „სასჯელი" აკმარეს, თორემ ჩვენ რომ თავმოყვარე ერი ვიყოთ, ბოდიშის მოხდა კი არა, წერა-კითხვა უნდა დაგვევიწყებინა ყველა ქართველისთვის (და არა მხოლოდ, საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსისთვისძ საყვარელი და სათაყვანო თამარ მეფის შეურაცხყოფისთვის. სხვათა შორის, იგივეს თქმა (თუმცა წერა-კითხვასთან ისედაც მწყრალად არისძ თეა (ბუდარიხაძ თუთბერიძეზეც შეიძლება — ჩვენი პატრიარქიც ვერ დავიცავით, როგორც საჭირო იყო.

**„საიდუმლო სირობის" ავტორი, უნივერსიტეტის რექტორი, და თქვენ, ვინც „გამოხატვისა და შემოქმედების" თავისუფლებას იცავდით, ჩვენ „რელიგიურმა ნაციონალისტებმა" და ქართველმა „ფუნდამენტალისტებმა" კი არ დაგნიშნეთ სტიგმით — „ლიბერალი მამათმავლები", ღმერთისგან (თუმცა, ფუი ეშმაკს, თქვენთან ღმერთს რა უნდა), უფრო სწორად ეშმაკისგან ხართ დანიშნულიც და დადაღულებიც, სტიგმის არ ვიცი, მაგრამ ჩემეული უნივერსალური ფორმულით — ყველა ლიბერალი პედერასტი არ არის, მაგრამ ყველა პედერასტი — ლიბერალია!**

და ბოლოს, მინდიაშვილის პასკვილის კვინტესენცია ბოლო ქვესათაურის სახით —

### ალუდას გზა

**გზა, რომელსაც ამხანაგი „ხლესტაკოვი" მალხაზ გულაშვილის წყევლით იწყებს, რომელიც მას 6 მაისს ოპოზიციის აქციაზე წარმოუთქვამს.**

„ძველად ხევსურეთში პურს, წყალსა და შაქარს თავისუფლების ინსტიტუტზე არ გასცემდნენ და ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთო. ამით მან ამ ჩაკეტილი და შეუწყნარებელი თემის მხარეს დგომისკენ მოუწოდა ქართველებს, რომელმაც ალუდა ქეთელაური შეაჩვენა".

აქვე, ტელეკომპანია „კავკასია"-თავისუფლების ინსტიტუტის ერთობლივი სპეცოპერაციაც გაიხსენა — „ნინო ჯანგირაშვილი და ალეკო ელისაშვილი აცხადებდნენ, რომ სტუმრების (ლიბერასტების! — **ავტ.**ძ დაცვა მათი ვალი იყო, მიუხედავად იმისა, რომ არ იზიარებდნენ მათ პოზიციას".

არ ვიცი, ძველად მისცემდნენ თუ არა ხევსურეთში თავისუფლების ინსტიტუტს პურსა და წყალს, მაგრამ ახლა ორივე ხელით ვეთანხმები გულაშვილის წყევლას. რაც შეეხება „კავკასიას", ეგ სადაური სტუმარმასპინძლობაა, როცა ლიბერასტებს იცავ და სხვებს, მართლმადიდებელ ბიჭებს აჭერინებ? აქედან ისიც ტყუილია „მიუხედავად იმისა, მათ პოზიციებს არ ვიზიარებთ". ესეც სიცრუე და მომგებიანი პოზაა, თორემ იმ ღამეს ჯანგირგაშვილმაც და ელისაშვილმაც ისეთივე ხლისტებად წარმოაჩინეს თავი, როგორებსაც იცავდნენ.

და ბოლოს, მინდიაშვილის პასკვილის აპოგეა — **„რელიგიურ ნაციონალიზმს ის უნდა დავუპირისპიროთ, რაზედაც საქართველოში საყოველთაო კონსენსუსი არსებობს: სახარება, გიორგი მთაწმინდელი, „ვეფხისტყაოსანი", გურამიშვილი, ვაჟა-ფშაველა, ილია, გრიგოლ ფერაძე, მერაბ მამარდაშვილი, ქალაქური მრავალფეროვნების კულტურა, ალუდა ქეთელაურისა და ჯოყოლას უარი ფანატიზმზე, შეუწყნარებლობაზე, და ა. შ.**

**ერთი რამის თქმა შემიძლია: ამხანაგ მინდიაშვილის აზრით ამ რკინისებურ არგუმენტებზე — ყოველივე ზემოთ თქმულ და ჩამოთვლილ ისტორიულ თუ ლიტერატურულ პერსონაჟებზე აპელირებას მაშინ აქვს აზრი, როცა ეს ყველაფერი ღვთისმოშიშ, მორწმუნე (არა მხოლოდ მართლმადიდებლებს), სამშობლოს მოყვარულ ხალხს ეხება და არა მინდიაშვილის მსგავს ლიბერასტებს. სწორედ ასეთმა „ლიბერალებმა" მოკლეს დიდი ილია. რაც შეეხებათ ალუდას და ჯოყოლას, ისინიც იმიტომ დაუპირისპირდნენ „შეუწყნარებელ თემს", რომ მათი მოწინააღმდეგე მუცალი თუ ზვიადაური ტრადიციული რელიგიის აღმსარებლები და ასევე ტრადიციული სექსუალური ორიენტაციისანი იყვნენ. თორემ ეჭვი მეპარება, ზვიადაური რომ პედერასტი, სექტანტი ყოფილიყო, ჯოყოლას მასთან პური გაეტეხა და მისი გულისთვის საკუთარ თემს დაპირისპირებოდა...**

დავით მხეიძე,
რელიგიური ნაციონალისტი

ინფორმაცია



## ფესტივალი „ჩვენებურები" დასრულდა

**საერთაშორისო ფესტივალი „ჩვენებურები" ბათუმში გრანდიოზული კონცერტით დასრულდა.**

**წლევანდელი ფესტივალი სვეტიცხოვლის დაარსების 1700 და ტაძრის განახლების 1000 წლისთავს მიეძღვნა.**

**29 სექტემბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით, ფესტივალი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ჩატარდა. მასში მონაწილეობდნენ როგორც ფოლკლორული კოლექტივები, ასევე საოპერო მუსიკის წარმომადგენლები.**

**ყველაზე მნიშვნელოვანი იყო აფხაზეთის ინტერნაციონალური კაპელის 30 წლის იუბილის აღნიშვნა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში.საქართველოში ჩამოვიდა ამ კაპელის ძველი თაობა, რომელიც ომის შემდგომ უცხოეთში ცხოვრობს.**

**საერთაშორისო ფესტივალის პარტნიორები იყვნენ: დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, კულტურის სამინისტრო, აფხაზეთის კულტურისა და განათლების სამინისტრო, თბილისის მერია, ბორჯომის მუნიციპალიტეტი, ქუთაისის მერია, ბათუმის მერია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.**

**„ჩვენებურების" ფესტივალი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის კურთხევით იმართება. პატრიარქი ფესტივალის მონაწილეებს წელსაც მიიღო და დალოცა.**

ხო-ეიჩ-ენი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**ამ კვირაში აფხაზეთში იხსნება საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს რუსეთის ხელისუფლებისა და ბიზნესის წარმომადგენლების რესპუბლიკისთვის უპრეცედენტო რაოდენობა. უახლოეს თვეებში კი „როსნეფტი“ დაიწყებს საძიებო სამუშაოებს შავი ზღვის აფხაზეთის მონაკვეთის შელფზე. აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა გვიამბო რუსეთის ფულის შესახებ აფხაზეთის ეკონომიკაში, ახალ საინვესტიციო პროექტებზე, აგრეთვე იმის შესახებ, თუ რატომ ჩავარდა წელს რესპუბლიკაში საკურორტო სეზონი.**

*– აფხაზეთში 15 ოქტომბერს ერთბაშად იხსნება რამდენიმე ავტოგასამართი სადგური. ეს პოლიტიკური პროექტია?*

– წმინდა ეკონომიკაა.

*– თქვენ დარწმუნებული ხართ?*

– ასი პროცენტით.

*– ეს საჩვენებელი აქცია ხომ არ არის – აიო, შეხედეთ, დიდი ინვესტორი „როსნეფტი“ მოვიდა, მაშასადამე, სხვებისთვისაც აღარ იქნება საშიშიო?*

– არის ასეთი მომენტიც, რასაკვირველია. ესე იგი, მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს არის სარეკლამო პროექტი. მაგრამ პოლიტიკა აქ ნაკლებადაა. „როსნეფტი“ შემოდის, ამჟამად ვაწარმოებთ მოლაპარაკებას „ვნეშეკონომიკბანკთან“, ისინიც მოვლენ. ჩვენთან 15 ოქტომბერს იხსნება ეკონომიკური ფორუმი, რუსეთის ათი მინისტრი უნდა ჩამოვიდეს. 195 კაცი მარტო რუსეთიდან იქნება. ვფიქრობ, აფხაზეთისადმი ინტერესი უზარმაზარია, და თუ „როსნეფტი“ მოვიდა, მაშასადამე, მისთვის ეს ხელსაყრელია. ამჟამად ჩვენ სხვა პრობლემა გვაქვს: ოდნავ მაინც უნდა შევაკავოთ მსურველთა ნაკადი და შევარჩიოთ ის პროექტები, რომლებიც ხელსაყრელია ინვესტორისთვისაც და ჩვენთვისაც. ჩვენთან უკვე მუშაობს კომისია, რომელიც განიხილავს პროექტებს და შეარჩევს საუკეთესოებს. ამჟამად განვიხილავთ მიწის კადასტრირების საკითხს, შემდეგ მივიღებთ აფხაზეთის გენერალური მშენებლობის გეგმას – უიმისოდ ყველაფერი შეუძლებელია. მე რომ ახლა ვთქვა: აშენეთ აქ, აქ და აქ, მაშინ სამი წლის განმავლობაში ააშენებენ ყველაფერს. და ჩვენ გადავიქცევით სოჭად. მეგაპოლისად. აფხაზეთი რკინასა და ბეტონშია – ეს უკვე აფხაზეთი აღარ არის. აი მე ამის წინააღმდეგი ვარ. არანაირი მრავალსართულიანი მშენებლობა სანაპიროზე. დიახ, საძინებელი რაიონი – კეთილი, ბატონო, და თანაც მაქსიმუმ ცხრა სართული. ყველა დანარჩენი ჰარმონიაში უნდა იყოს მომხიბლავ გარემოებებთან. სუფთა ზღვა, კარგი ჰაერი, ლამაზი პარკები, პატარა სახლები – ეს უნდა შევინარჩუნოთ.

*– „როსნეფტი“ აწარმოებს სამუშაოებს შელფზე? არის კი საერთოდ თქვენთან ნავთობი?*

– საინტერესო საკითხია. ამჟამად ჩვენთან ამ თემას ამუშავებენ, კერძოდ, ოპოზიცია.

*– ოპოზიციას ეკოლოგია აღელვებს.*

– მესმის. მაგრამ მე მათ ვუხსნი. საქართველო აწარმოებს საძიებო სამუშაოებს ზღვის შელფზე ჩვენს მახლობლად, თითქმის საზღვართან. იქ დასავლეთის კამპანიები მთელი ძალით მუშაობენ. თურქეთში 130 ჭაბურღილს თხრიან ამჟამად. ეძებენ ნავთობს თურქეთის სანაპიროზე. ბულგარელებიც ეძებენ, რუმინელებიც, უკრაინელებიც შავი ზღვის შელფზე. რუსეთელებიც იქნებიან ახლა ანაპასთან და გელენჯიკთან და მე ყველას ვუთხარი: ოპოზიციასაც და მათაც, ვინც ეკოლოგიას ეჭიდება, – მეც მხარს ვუჭერ ეკოლოგიას... მაგრამ, თუ ჩვენს ირგვლივ ყველა მუშაობს, მარტო აფხაზეთი უნდა იყოს პატარა ყურე, სადაც ნავთობს არ ეძებენ? ჩვენ არ გვაქვს არანაირი გარანტია, რომ ხვალ, თუ რაიმე მოხდება საქართველოში ან თურქეთში, ჩვენ შევინარჩუნებთ საკუთარ სუფთა ზღვას. შეხედეთ, საიდან მივიდა ნავთობის ლაქა მექსიკის ყურეში, ამერიკის შეერთებული შტატების სანაპიროზე. ჩვენ რა, დაზღვეული ვართ ამისგან? რასაკვირველია, არა. ამიტომ პრინციპი ერთია – ან ყველა მუშაობს, ან ყველა წყვეტს მუშაობას.

*– მაშ, აფხაზეთში არის თუ არა ნავთობი?*

– საბჭოთა დროის სეისმოდაზვერვის მონაცემებით, ძირითადი ნავთობი არის გუდაუთის მახლობლად. ეს არის ტერიტორია სოხუმიდან გაგრამდე. იქ არის მთავარი ლინზა. იქ არის ნავთობი. საბჭოთა პერიოდში აფხაზეთის სანაპიროზე გაბურღეს 22 ჭაბურღილი. და მაშინ, ომის დროს, როდესაც ბლოკადა იყო, მე ერთი მათგანი გავხსენი, გალის რაიონში. მძიმე სიტუაცია გვქონდა, არ გვაძლევდნენ ბენზინის შემოტანის საშუალებას, ბენზინი კი საჭირო იყო. მე ერთი მათგანი გავხსენი, იქიდან დიდი ნაკადით წამოვიდა ნავთობი, მაგრამ თანმხლები გაზი იმდენი იყო, რომ მოგვიწია მისი ხელახლა დაკონსერვება. ჩვენ მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავით მზად. ჩვენ არ გვყავდა სპეციალისტები, არ გვქონდა მოწყობილობა, ამ ჭაბურღილს რომ ცეცხლი გასჩენოდა, თითქმის ნახევარი აფხაზეთი დაიწვებოდა. მაგრამ ნავთობის ანალიზი ჩვენ გავაკეთეთ, იგი უმაღლესი ხარისხისაა. ამჟამად ყველა ეს ჭაბურღილი დაკონსერვებულია გალის, ოჩამჩირის, სოხუმის რაიონებში.

*– როდის დაიწყებს „როსნეფტი“ მუშაობას შელფზე?*

– ისინი პრაქტიკულად უკვე იწყებენ მუშაობას. ამჟამად გამოყოფენ ტერიტორიებს სამუშაოდ, შემოაქვთ მოწყობილობა, სამუშაოები ჯერჯერობით იგეგმება გუდაუთსა და ახალ ათონს შორის.

*– სამხრეთ ოსეთში არ გეკითხებოდნენ, როგორ მიაღწიეთ თქვენსას?*

– რამდენადაც მე მესმის, ამჟამად სამხრეთ ოსეთშიც იცვლება სქემა. მათ გვთხოვეს ჩვენი რეგლამენტი, რომელიც დავამუშავეთ რუსეთის ფედერაციის რეგიონალური განვითარების სამინისტროსთან ერთად. მე ვიყავი სამხრეთ ოსეთში დამოუკიდებლობის დღესასწაულზე. იქ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ...

*– მეტი შეიძლებოდა ხომ?*

– რასაკვირველია. მაგრამ შედარება, ვფიქრობ, არ ღირს – იქ სიტუაცია უფრო რთულია.

*– შეგვეძლოთ გეთქვათ, კონკრეტულად რისი აშენება გსურთ იმ სამი მილიარდი რუბლით, რომელსაც რუსეთი უყოფს აფხაზეთს წელს?*

– უწინარეს ყოვლისა, ეს არის წყალსადენი მილები გაგრაში. გაისისთვის ჩვენ მას უკვე ვეღარ მოვასწრებთ, ვინაიდან დაფინანსება გაიხსნა მხოლოდ აგვისტოს ბოლოს. ჩვენ მილიარდნახევარ რუბლს ვთხოვდით მხოლოდ შეძენისთვის – რომ გაგვეუმჯობესებინა ინფრასტრუქტურა. მაგალითად, ვყიდულობთ 150 „პაზს“ სასოფლო მარშრუტებისთვის, 20 ტროლეიბუსს ქალაქ სოხუმისთვის, ვინაიდან ჩვენი ტროლეიბუსებით მგზავრობა უკვე შეუძლებელია. დანარჩენ მილიარდ ნახევარს მოვახმართ საწმენდ ნაგებობათა მშენებლობას, წყალგაყვანილობის მშენებლობას და შემოვლით გზას გაგრაში, იქ ორი გვირაბია, ისინი უნდა აღვადგინოთ. ეს ყველაფერი – ინფრასტრუქტურული ობიექტებია. ჩვენ, რასაკვირველია, შეგვეძლო ამ ფულით მოგვეწყო რაიმე გადამამუშავებელი ობიექტი, ძეხვის საამქრო, ანდა რაიმე სხვა ქარხანა. მაგრამ ყველაზე ძვირი მაინც ინფრასტრუქტურის ობიექტებია. ხოლო, როდესაც გაქვს წყალი, ელექტროენერგია, გზა – ბიზნესი მალე მოდის.

# „უნდა მივცეთ რუსეთელებს ნება, შეიძინონ პირველადი საცხოვრებლები“



*– ვიცე-პრეზიდენტზე ალექსანდრ ანქვაბზე ამ ცოტა ხნის წინათ მოხდა მორიგი თავდასხმა – რატომ არის, რომ ამდენი ხანია და მეთოდურად ცდილობენ მის მოკვლას? დაკავშირებულია ეს რუსეთის ფულთან? მის შესახებ ამბობენ, რომ ის არავის აძლევს მოპარვის საშუალებას.*

– ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება, რაიმეს ვარაუდი ძნელია, მაგრამ ამ თავდასხმასთან არანაირი კავშირი არ აქვს არც მშენებლობას, არც მის სამსახურებრივ საქმიანობას. ეს დაიწყო 2005 წლის არჩევნებიდან ორი კვირის შემდეგ – მაშინ მოხდა პირველი თავდასხმა.

*– ესე იგი, ეს პოლიტიკაა?*

– რასაკვირველია. წმინდა წყლის პოლიტიკაა. მე თუ მინახავს ვინმე წესიერი, პატიოსანი კაცი, ეს ანქვაბია. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის და მე ერთად მოვდივართ დიდი ხანია ამ ცხოვრების გზაზე. ეს არის სკრუპულოზური და მეტად პატიოსანი მუშაკი, რომელსაც შეუძლია და უნდა კიდეც მუშაობა.

*– უცნაურია, რომ არცერთი თავდასხმა მასზე ჯერ არ გახსნილა.*

– არ გახსნილა ჯერჯერობით. მაგრამ ყველა ეს თავდასხმა ერთი ადგილიდან მოდის. მე ამაში, უბრალოდ, დარწმუნებული ვარ. და აქ რუსეთის ფულზე და მოცულობაზე როდია საუბარი. რა მოცულობები იყო, როდესაც ჩვენ მოვედით 2005 წელს? ჩვენ მხოლოდ ვალები გვქონდა. ბიუჯეტი – ნული, ინვესტიციები – ნული.

*– მას ხომ თქვენს მემკვიდრედ მიიჩნევენ?*

– რას იზამ, 2005 წელს ვინ იცოდა, იქნებოდა ის მემკვიდრე თუ არა? ის იყო პრემიერ-მინისტრი. ჩვენ შეიძლება ერთმანეთს ზოგ რამეში არ ვეთანხმებოდით, მე შემეძლო დამეთხოვა მთავრობა. მინდა გითხრათ, რომ ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ შეიძლება მომხდარიყო და ძნელად რომ ადრე ცდილიყვნენ მის თავიდან მოშორებას. ვფიქრობ, აქ სხვა რამეა. მაგრამ მოდით, წინ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. მემკვიდრე კი... თუ ანქვაბი იქნება კიდეც მემკვიდრე, ეს ნორმალური კარგი მუშაკია, სპეციალისტი. არის კიდევ სერგეი შამბა, რომელიც ასევე თითქოსდა ჩემი მემკვიდრეა. ისიც გამოცდილი მუშაკია. ასე რომ, ახლა მასზე უნდა მოხდეს თავდასხმა? თუ რაიმეს შეცვლა სურთ აფხაზეთში პოლიტიკურად, ეს უნდა გადაწყვიტონ პირველ რიგში პრეზიდენტთან დაკავშირებით...

*– როგორ ივლიან გალის რაიონის მცხოვრებლები თავიანთ ნათესავებთან საქართველოში?*

– ისინი ივლიან სასაზღვრო პოსტების გავლით. ამჟამად არის ერთი, ხიდთან ენგურზე. ქვედა ზონაშიც გავაკეთეთ ჩვენ კიდევ ერთი, მოხერხებულობისთვის. ეს არის ნორმალური, ცივილიზებული გადაწყვეტა პრობლემისა.

*– რა აზრი აქვს მეწარმისთვის აფხაზეთში ჩამოსვლას, თუ მას არ შეეძლება აქ იყიდოს მიწა ან უძრავი ქონება. კანონი ხომ, რომელიც წყვეტს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგების საკითხს, მიღებული არ არის?*

– უწინარეს ყოვლისა, ჩვენ გვაქვს კანონი, რომლის მიხედვითაც აფხაზეთში შემოსული ყველა ინვესტორი სამი წლის განმავლობაში თავისუფლდება გადასახადებისგან, საბაჟო გადასახადებისგან და ა.შ. რაც შეეხება მიწას – დიახ, ჩვენ მიწას არ ვყიდით და არც გავყიდით. აფხაზეთი მცირემიწიანია და ეს ისეთი საკითხია, რომელმაც შეიძლება განხეთქილება გამოიწვიოს საზოგადოებაში. მაგრამ მიწა შეიძლება აიღო იჯარით. 20, 30 ან 49 წლით. და აქ არავითარი პრობლემა არ არის...

*– და მაინც, როგორ არის საქმე უძრავი ქონების შესახებ კანონთან დაკავშირებით? პირველი წაკითხვით კანონპროექტი მიღებულია, მაგრამ საქმე ამაზე შეჩერდა.*

– მე დაბეჯითებით მოვითხოვ, რომ ეს კანონი მიღებული იყოს, თუმცა ეს მარტივი საკითხი როდია. მიმაჩნია, რომ რუსეთელებს უნდა მივცეთ ნება, შეიძინონ პირველადი საცხოვრებელი, ახალმშენებლობებში. ბიზნესი შემოვიდა აფხაზეთში, მას სურს მშენებლობა. მაგრამ აფხაზეთის ყველა მცხოვრებს როდი შეუძლია, იყიდოს ბინები ამ ახალი მშენებლობების რაიონებში. რუსეთელებს კი შეუძლიათ იყიდონ და სურთ კიდეც ყიდვა. ამიტომ გვჭირდება ჩვენ ეს...

*– მხედველობაში გყავთ ის ხალხი, რომლებიც აფხაზეთიდან წავიდა ომის დროს, ახლა კი სურს დაბრუნდეს საკუთარ სახლებში, რომლებიც ვიღაც-ვიღაცებს უკვე დაუკავებიათ?*

– დიახ, სწორედ ასეა.

*– რატომ არ შეიძლება მათ დაუბრუნოთ თავიანთი სახლები?*

– განა ეს ასე მარტივია – ჩამოართვა საცხოვრებელი ადგილი მათ, ვინც ომის შემდეგ დაიკავა მიტოვებული სახლები, მაშინ ჩამოართვით სახლები ჩრდილოეთ ოსეთში პრიგოროდნი რაიონში. იქ მსგავსი სიტუაციაა – ოსებმა დაიკავეს ინგუშების სახლები. შეიძლება, რომ გამოასახლო რომელიმე ოსი იქიდან? არც ერთი ოჯახი ჯერ არ გამოუსახლებიათ. ვინაიდან ეს მარტივი საკითხი როდია. ამიტომ საკითხი სხვაგვარად უნდა გადაიჭრას. ან მოვიფიქროთ საკითხი კომპენსაციის შესახებ, ანდა ავაშენოთ საცხოვრებელი სახლები და მივცეთ ისინი იმ ხალხს, ვისი ბინებიც არის დაკავებული. ჩვენთან უკვე შექმნილია კომისია, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ ჯერჯერობით, რუსეთის მხრიდან კი – აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის ელჩი.

*– რამდენი განცხადებაა შემოსული დაბრუნების შესახებ?*

– დღეისთვის ჩვენ უკვე გადავწყვიტეთ საკითხები 1260 განცხადებასთან დაკავშირებით. ესე იგი, ამ ხალხს შეუძლია დაბრუნდეს, და ბევრი დაბრუნდა კიდეც – რუსები ძირითადად. განხილვის პროცესშია დაახლოებით 100 განცხადება, იქ რთული, სადავო სიტუაციებია, მათაც განვიხილავთ.

*– ამბობენ, წელს აფხაზეთში საკურორტო სეზონი ჩავარდაო. რატომ?*

– დიახ, შარშანდელთან შედარებით 20 პროცენტზე ნაკლები ხალხი იყო. და აქ რამდენიმე ფაქტია. პირველი, საკურორტო სფერო – ეს არის ტურისტული ფირმების ბრძოლის სფერო. რუსეთის პრესაში ასეთი ნეგატივი გაჩნდა სეზონის დასაწყისში და ისეთი ძალით, რომ ჭკუიდან შეიშლებოდი! აიო, აქ ყველა რუსების წინააღმდეგ არისო, აქ რუსებს ადამიანებად არ მიიჩნევენო. რასაკვირველია, შეიძლება აწარმოო პროპაგანდა, შეიძლება აწარმოო ბრძოლა, მაგრამ უსინდისოდ არ უნდა მოიქცე. მე თითოეულ ჟურნალისტს ვეუბნები – აქ არ არის ასეთი დამოკიდებულება რუსეთელებისადმი! არის აგრეთვე სხვა მიზეზიც, საშინაო. ეს არის ჩვენი მეწარმეების სიხარბე, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ, რახან ჩვენთან ჩამოდიან რუსეთიდან, უნდა გავზარდოთ ფასები ჭერამდე. და რადგანაც აფხაზეთში ჩამოდიან ტურისტები შედარებით მცირე შემოსავლით – ეს საშუალო და საშუალოზე დაბალი კლასია – ასეთი ხალხი ფასების ზრდაზე რეაგირებას ახდენს და ისინი აღარ ჩამოდიან. ჩვენთან ჯერ კიდევ ვერ გაიგეს მარტივი რამ – უნდა მიიღო შემოსავალი ბრუნვისგან და ხალხის მოცულობისგან, რომლებიც შენთან ისვენებენ და არა ფასის პოლიტიკის ხარჯზე. ამიტომ დაზარალდნენ კიდეც. რას იზამ, ეს ჩვენთვის კარგი გაკვეთილია – დაე, ჩვენმა ბიზნესმენებმა იგრძნონ, რომ ისინი კვლავაც დაკარგავენ ტურისტებს მომავალში. აი, ნოემბრის ბოლოს მე მოვაწყობ დიდ თათბირს შედეგების შესახებ, ზოგიერთს გავათავისუფლებთ დაკავებული თანამდებობიდან. თუმცა, მთლიანად ფულთან დაკავშირებით, ჩვენ ამ სეზონში პლუსით გამოვედით.

**ოლგა ალიონოვა**

**Коммерсантъ**

## დედამიწის ზურგზე



**უკრაინა გლოვობს რკინიგზაზე მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს დაღუპულების გამო. გადარჩენილები ბრალს სდებენ „თვითმკვლელ“ მძღოლს**

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შენობებზე დაშვებულია დროშები. გაუქმებულია გასართობი ღონისძიებანი, შესაბამისი ცვლილებები შეტანილია ტელე და რადიო პროგრამებში. გადარჩენილების აზრით, მძღოლი თითქოსდა განზრახ შევარდა მატარებლის ქვეშ.

* * *

**ინდონეზიაში ათი კაცი გახდა ზვავის მსხვერპლი**

დაღუპულები – პალმის ზეთის გადამუშავების კომპანიის თანამშრომლები არიან. ტრაგედია მოხდა სამუშაოს შესრულების დროს, როდესაც მთიდან წამოსული ზვავმა ცოცხლად დამარხა ათობით ადამიანი. რამდენიმე კაცი უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება.



* * *

**ჩილეში მიდის მაღაროელთა ევაკუაციის ოპერაცია. მათ მიწისქვეშ 69 დღე მოუწიათ ყოფნა**

ამჟამად 700-მეტრიანი მაღაროდან ამოყვანილი ხალხის სიაში ხუთი მაღაროელია. ამოყვანის დროს მეშახტეებს თვალყურს ადევნებდნენ და მათთან კავშირი ჰქონდათ სპეციალისტებს. ნათესავებთან ხანმოკლე შეხვედრის შემდეგ ისინი გადაჰყავთ საველე ჰოსპიტალში, სადაც მედიკოსები ამოწმებენ მათ ჯანმრთელობას.

* * *

**არგენტინაში აღმოაჩინეს მცენარე, რომელიც მსოფლიო ოკეანიდან პირველი გადავიდა ხმელეთზე**

შედეგად მსოფლიო მეცნიერებაში გაჩნდა ახალი თარიღი – მცენარეთა გადმოსვლა ოკეანიდან მოხდა 472 მილიონი წლის წინათ. მათ არ ჰქონდათ არც ფოთლები, არც ფესვები, არც ხავსი. მიუხედავად ამისა, არიან იმ ხეებისა და ბალახების წინაპრები, რომლებიც ამჟამად ხმელეთზე არსებობენ.

* * *

**კონდოლიზა რაისმა გამოუშვა მემუარების პირველი წიგნი – ბავშვობის შესახებ რასისტულ სამხრეთში**

რაისი გვიამბობს თავისი ოჯახის ცხოვრების შესახებ ბირმინჰემში, რომელიც 50-იან წლებში აღმოჩნდა აფროამერიკული მოსახლეობის ბრძოლის ცენტრში თავიანთი უფლებებისთვის. რაისის მემუარების პირველი წიგნი მთავრდება 2000 წელს. მეორე წიგნი – ბუშის ადმინისტრაციაში მუშაობის რვა წელზე – გამოვა 2011 წელს.



## ჩვენი ბიბლიოთეკა

უიკა ამაყი იყო თავისი მოწაფეებით, ქალებითაც და ვაჟებითაც, რომელთაც შეძლეს და უკვე ამოცნობილი, ახსნილ-განმარტებული სოფელ-ქვეყნის სიმყუდროვეც და სიმშვიდეც იმის გულისთვის გაწირეს, რომ თავი გადაედოთ და ახალი ქვეყანა აღმოეჩინათ.

მან კვლავ დახედა სამ გაშიშვლებულ, მიწაზე გართხმულ ქალს, ჯვრისებრ ხელებგაშლილთ, და სცადა, რომ ისევ თავიანთივე გამოსხივებული აურის ფერებით შეემოსა. ისინი ახლა დროში ვლიდნენ და მრავალ თავიანთ სხვა ნაწილს ხვდებოდნენ. ამიერიდან სუყველა თავ-თავის ბედის განაჩენში შთაინთქმება, რომელი განაჩენიც იმ წუთიდან უცდიდა თითოეულს, რაც რომ ისინი წუთისოფელს მოევლინნენ. ერთი ამ ქალთაგანი, ალბათ, უკვე სამოცს გადაცილებულიც იქნებოდა; თუმცა ასაკს აქ არც არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. მთავარი ოღენ ის იყო, რომ ისინი მოთმინებით მომლოდინე თავ-თავიანთი ბედისწერის წინაშე წარდგნენ, და ამ ღამიდან მოკიდებული თავიანთ მადლს, ანუ ზეგარდმო ბოძებულ ნიჭს, იმისთვის გამოიყენებენ, რომ ღვთის ბაღში არც დაჭკნენ და არც გახმნენ ყოვლის უფრო მთავარი მცენარენი. თითოეულს სამთაგან აქ მოსვლის თავისი მიზეზი ჰქონდა: ერთი უიღბლო სიყვარულს დაეტანა, მეორე ერთფეროვან ცხოვრებას დაეღალა, მესამე სიძლიერეს ეძებდა. ისინი სძლევდნენ მცონარობას, შიშსა და უამრავ იმედგაცრუებას, რაც გარდაუვალად თან სდევს სუყველას, ვინც კი გრძნება-მაგიის გზას ასდევნებია. მაგრამ საქმე ის არის, რომ საბოლოო ანგარიშით ისინი სწორედ იქ მივიდნენ, სადაც მიისწრაფოდნენ, რამეთუ ღვთის ხელი ნიადაგ გულსიამით წარმართავს ადამიანს, რომელიც რწმენით გულსავსე მიუყვება ღვთისეულ გზას.

„მთვარის ტრადიცია თავისი მოძღვრებითა და წესჩვეულებით ნამდვილად გვხიბლავს და გვაჯადოებს. მაგრამ არის კიდევ სხვა ტრადიციაც“, – ფიქრობდა ამასობაში მოგვი, თან თვალს არ აცილებდა ბრიდას და შენატროდა უიკას, რომელიც კიდევ საკმაოდ დიდხანს იქნებოდა თავისი ყმაწვილქალი მოწაფის გვერდით. ამ ტრადიციის შეცნობა ბევრად უფრო ძნელი სწორედ იმიტომ არის, რომ უფრო მარტივია, ყოველივე მარტივი რამ კი ხშირად უსაგნო გვეჩვენება. ამ სხვა, ანუ მზის ტრადიციის მოძღვარნი ჩვენს სოფელ-ქვეყანაში არიან და ყოველთვის შეგნებული არა აქვთ იმის მთელი სიდიადე, რასაც სხვათ ასწავლიან, რამეთუ ანგარიშმიუცემელ გულისთქმას აყოლილნი ასწავლიან, რომელი გულისთქმაც მუდამ არაგონივრული ჩანს. იმ ადამიანთა შორის, ვისაც ისინი ასწავლიან, არიან ხითხურონი, პოეტნი, მათემატიკოსნი, ყველა წოდებისა და ზნე-ჩვეულებისანი, და ყველგან ნახავთ, პლანეტის ნებისმიერ კუთხეში. და არცთუ იშვიათად ძალიან უნდათ, რომ ვისმე გამოელაპარაკონ, გული გადაუშალონ, უთხრან, რასაც იმწუთას გრძნობენ, თუმცა ხან თვითონაც არ ესმით, რა გრძნობაა ეს გრძნობა, მაგრამ აღარც უთქმელობა და გაუმჟღავნებლობა გამოსდით. დიახაც ამ ადამიანთა წყალობითა და მეოხებით ახერხებს მზის ტრადიცია, რომ თავისი სიბრძნე ტყუილუბრალოდ არ გაუნიორწყლდეს. შემოქმედების ბიძგიაო, რომ ვამბობთ, ეს არის.

სადაც არ უნდა დაადგას ადამიანმა ფეხი, იქ უეჭველად გაჩნდება მზის ტრადიციის კვალი. ეს იქნებ აღალმა იყოს ან იქნებ სულაც – მაგიდა, ანდა რამდენიმე სალექსო სტრიქონი, ამა თუ იმ ხალხის მიერ თაობიდან თაობას რომ გადაეცემა. ის ადამიანები, რომელთა შორისაც მზის ტრადიცია მეტყველებს, არც არაფრით არ განსხვავდებიან სხვა დანარჩენთაგან, სანამ ერთ მშვენიერ დილით – თუ საღამოს – ჩვეულ გარემოში რაღაც უფრო დიდ რასმე არ შეამჩნევენ. მაშინ კი, თავიანთდა უნებურად, ისინი შეუცნობლის მორევში გადაეშვებიან ხოლმე და უმეტესწილად უარს ამბობენ იქიდან უკან გამობრუნებაზე. სუყველა სულდგმული – თუნდაც ერთხელ მაინც ყოველი გარდასახვა-გარდასხეულებისას – ასაცნაურებს სოფელ-ქვეყნის საიდუმლოებას.

დიახ, თავიანთდა უნებურად, გადაეშვებიან ხოლმე ისინი ღამის წყვდიადში. და საწუხარია, რომ თითქმის არცროდის საკუთარი თავის რწმენა არა აქვთ და უარს ამბობენ უკან გამობრუნებაზე. ხოლო წმინდა მზე, რომელიც მთელ ქვეყნიერებას მინდობილია განუყოფლად და თავისი სიყვარულით კვებავს, ამშვიდებს და აშოშმინებს იმას, კვლავ ეკალ-ქაცვს ივლებს გარშემო.

უიკა ბედის მადლობელი იყო, რაკი მთვარის ტრადიციის მოძღვარი გახდა. ვინც როსმე კარს მისდგომია, სუყველას სწავლა და რისამე მიგნება ნდომია, მზის ტრადიცია კი, მთვარის ტრადიციისგან განსხვავებით, ადამის შვილთა უმეტეს ნაწილს იძულებულს ხდიდა, რომ თავი აერიდებინა ცხოვრების გაკვეთილთათვის.

„ახლა ამას უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს“, – გაიფიქრა უიკამ. იმიტომ რომ კვლავ ბრუნდება სასწაულმოქმედების ჟამი, და ვერცვინ კაცთაგანი ვეღარ შეძლებს იმ დროებათაგან განზე დგომას, რომელთაც ამიერიდან და შემდგომ ვერ აიცდენს ჩვენი სოფელ-ქვეყანა. სულ რამდენიმე წელიწადიც არ გაივლის, და მზის ტრადიცია სრულად გამოავლენს მთელ თავის ძალას, მთელი თავისი სიდიადით. ვინც თავის გზას არ არის ადევნებული, სუყველა სასტიკად გულნაკლული დარჩება საკუთარი თავით და არჩევნის წინაშე დადგება.

არჩევანი კი ასეთია: ან უამრავი გულგატეხილობითა და ტკივილით შემომესრილი არსობა-არსებობა, ანდა იმის შეგნება რომ ყველანი ბედნიერებისთვის ვართ გაჩენილნი. და როს არჩევანს მივიტანთ და ასარჩევს ავირჩევთ, ყოველგვარი შეცვლა-გამოცვლა შეუძლებელი გახდება და ცვლილებათა გზებიც გადაგვეჭრება, შეგვეკვრება. და დაიწყება დიადი და წმინდა ომი, ჯიჰადი.

Სატევრიანი ხელის უზადოდ ზუსტი მოძრაობით უიკამ წრე შემოხაზა ჰაერში, ხოლო წრის შიგნით ხუთსხივიანი ვარსკვლავი გამოხატა, რომელსაც მოგვნი პენტაგრამად სახელდებენ. და იმ ელემენტთა სიმბოლოდ მიიჩნევენ, რომელი ელემენტებიც ადამიანში მოქმედებენ. ძირს გართხულმა ქალებმა ამ ვარსკვლავის წიაღ უნდა დაამყარონ ახლა კავშირი ნათლის სამყაროსთან.




– დახუჭეთ თვალები! – ბრძანა უიკამ.

სამივე ქალი დამორჩილდა.

უიკამ თითოეულის თავზე რამდენჯერმე შემოატარა თითებგაფარჩხული ხელები.

– აწ დაე აგეხილოთ თქვენთა სულთა სახედველნი.

Ბრიდამ გაახილა. ირგვლივ უდაბნო გაშლილიყო. იქაურობა ნაცნობ ადგილად ეჩვენებოდა.

და გაახსენდა, რომ აქ ერთხელ უკვე იყო ნამყოფი. მოგვთან ერთად.

მიმოიხედა, თვალებით დაუწყო ძებნა, მაგრამ მოგვი არა ჩანდა. შიში მაინც არ განუცდია, თავს კვლავინდებურად ბედნიერად და მშვიდად გრძნობდა. იცოდა, თვითონ ვინც იყო, ქალაქიც ახსოვდა, სადაც ცხოვრობდა, და არც ის დავიწყებოდა, რომ დროის რაღაც მონაკვეთში ამ ქალაქთან ახლოს დღეობა-დღესასწაულს ესწრებოდა. თუმცა ყოველივე ამას არცრა მნიშვნელობა არა ჰქონდა, რამეთუ ყმაწვილქალის ფიქრი წარმტაც პეიზაჟს დასტრიალებდა – ქვიშის ზღვის მოშორებით მთები ალმართულიყვნენ, ხოლო ზედ ცხვირწინ უზარმაზარი ქვაციხე ამჭვეტოდა.

– კეთილი იყოს შენი ფეხი, – მოესმა ვიღაცის ხმა.

გვერდით ისეთნაირად ჩაცმული კაცი ედგა, როგორი ჩაცმულობაც პაპამისისა და ბებიამისის დროს იყო მიღებული.

– მე უიკას მოძღვარი ვარ. როცა შენც მოძღვარი გახდები, შენი მოწაფეები აქ შეხვდებიან უიკას. და აგრე იქნება მარადჟამს – მანამ, სანამ ქვეყნიერების სული თავისი თავის გამოხატვას არ შეიძლებს.

– მე ჯადოქარ-კუდიანთა სიღოდა-განცხრომაზე ვარ, – მიუგო ბრიდამ. – შაბათობაზე.

მოძღვარს გაეცინა:

– შენ შენს გზაზე ხარ. შენი გზის წინაშე დგახარ. ცოტა ვისმე თუ ეყოფოდა საამისო შემართება. ადამიანთ ჩვეულებრივ თავიანთი გზით სიარული არ უყვართ. მადლი, ანუ ზეგარდმო ბოძებული ნიჭი, თითოეულსა აქვს, ოღონდ ყველას არა სწადს ამ მადლ-ნიჭის შემჩნევა. შენ კი არა მარტო შეამჩნიე, გაასაცნაურე კიდეც. და ეგ შენი შეხვედრა მადლთან, ანუ ნიჭთან, თვით სოფელ-ქვეყანასთან შეხვედრაა.

– მერედა, რად მინდა?

– იმად გინდა, რომ ღვთის ბაღი დაამუშავო.

– წინ მთელი ცხოვრება მაქვს, – თქვა ბრიდამ. – ამ ცხოვრების გავლა ისე მინდა, როგორც სხვები გადიან. მინდა, რომ შეცდომის უფლება მქონდეს. მინდა, რომ ხან ეგოისტურადაც მოვიქცე. თავკერძობა გამოვიჩინო. ერთი სიტყვით, თუ რამ ადამიანური სისუსტეა, მეც უნდა მქონდეს, გესმის?

მოძღვარს გაეღიმა. სად იყო, სად არა – მარჯვენა ხელში ცისფერი ლაბადა გაუჩნდა.

– ადამიანებთან მიახლოების ერთადერთი ხერხი ის არის, რომ შენც ადამიანი უნდა გახდე.

პეიზაჟმა კი მიდამო უკვე მოასწრო გამოცვლა. უდაბნო გაქრა, ჩაქვესკნელდა. ხოლო ბრიდა რაღაც თხიერში აღმოჩნდა, სადაც უცნაური რამ ნივთები დაუცურავდნენ გვერდით.

– აი ეგრე გაჩნდა სიცოცხლეც, – თქვა მოგვმა. – შეცდომით. უჯრედები უამრავი ათასი წელიწადი სავსებით ერთნაირად იმეორებდნენ თავიანთ თავს, და ერთხელაც ერთ-ერთი შეცდა. და ამის მიზეზით გაუთავებელ განმეორებაში რაღაცის შეცვლა გახდა შესაძლებელი.

ბრიდა გაოგნებული გასცქეროდა ზღვას თავის გარშემო და ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა მოეხერხებინა წყალქვეშ სუნთქვა. მხოლოდ მოძღვრის ხმა ესმოდა, და მხოლოდ იმის გახსენება შეძლო, რომ ცხოვრებაში ამჟამინდელის მსგავსად ერთხელ უკვე იმოგზაურა მუხლანაყარი პურის ყანის თავზე.

– ეს ქვეყანა შეცდომის ამოძრავებულია, – თქვა მოძღვარმა. – არასოდეს შიში არ გაივლო, ემანდ რამე არ შემეშალოსო.

– კი, ბატონო, მაგრამ ადამი და ევა სამოთხიდან ხომ გამოაძევეს...

– ოდესმე ისინი ისევ იქ დაბრუნდებიან. ცათა და მყართა სასწაულთ შეიცნობენ და დაბრუნდებიან. ღმერთმა უწყოდა, რას იქმოდა, ოდეს კეთილისა და ბოროტის ხე შეაცნობინა. უკეთუ არ ენდომებოდა, რომ იმ ხის ნაყოფი გაესინჯინებინა, სულაც ენას არ დაასველებდა.

– მაშ მაინც რაღად უთხრა, რად დაასველა ენა?

– რათა სრულიად მკვიდროვანი, ანუ სოფელ-ქვეყანა აემოძრავებინა.

და კვლავ შეიცვალა მი და მო ყოველივე, და ბრიდა ისევ უდაბნოში აღმოჩნდა, უზარმაზარი ქვაციხის წინაშე. თენდებოდა, და ცისპირს მოვარდისფრო ციალი შეეპარა. მოძღვარი მიეახლოვა ბრიდას და ლაბადაში შეფუთნა:

– მიკურთხებიხარ, დამისხამს ხელი. შენი მადლი, ანუ ზეგარდმო ბოძებული ნიჭი, ღვთის საჭურველია. ეცადე, რომ კარგი საჭურველი დადგე.

Უიკამ სამ ქალთაგან ყველაზე ნორჩს ორივე ხელით წამოუწია კალთა. ეს იყო სიმბოლური ხარკი კელტ ქურუმთა მიმართ, რომელთა ასტრალური სხეულნიც ხეთა კენწეროების თავზე დალივლივ-დაბოინობდნენ. მერმე ყმაწვილქალს მიმართა:

– ადექი.

ბრიდა წამოდგა. შიშველ ტანზე ალის ანარეკლნი უციმციმებდნენ. ოდესღაც მეორე სხეული ამავე ცეცხლის ენებმა შეუთქვლიფეს. მაგრამ იმ დრომ ჩაიარა.

– ხელები ასწიე.

ბრიდა დამორჩილდა. უიკამ ჩააცვა.

– სულ მთლად შიშველი ვიყავი, – უთხრა ბრიდამ მოგვს, როცა ის ცისფერი ლაბადის ნაკეცთ უსწორებდა. – მაგრამ ჩემი სიშიშვლისა არა მრცხვენოდა.

– ადამიანთ თავიანთი სიშიშვლისა თუ არ შერცხვებოდათ, ღმერთი ვერასოდეს ვერ გაიგებდა, რომ ადამმა და ევამ კეთილისა და ბოროტის ცნობადის ხის ნაყოფი იგემეს.

მოგვი უცქეროდა, როგორ იბადებოდა ცისპირზე მზე. დაბნეული კი ჩანდა, მაგრამ ბრიდამ იცოდა, რომ ის სულაც არ იყო დაბნეული.

– არცროდის არცრა შეგრცხვეს, – განაგრძობდა მოგვი. – ყველაფერი ირგუნე, რასაც ცხოვრება გიწილადებს, შეეცადე, რომ ყველა სასმისი მოსვა, რომელიც კი წინ გიდგას. ღვინო ყველა უნდა გასინჯო, ოღონდ ერთს თუ მოწრუპავ, მეორით უნდა გამოთვრე.

– მერედა, როგორ უნდა განვასხვავო, რომელი უნდა დავლიო და რომელი არა.

– გემოთი. კარგი ღვინის ფასი მარტო იმან იცის, ვისაც ცუდი აქვს გასინჯული.

**ქართულად გადმოაენა**
**გურამ გოგიაშვილმა.**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152-166, 168-169, 171-172, 176-177, 180-181, 184-191.

ფეხბურთი

# ბედის ირონია, ანუ გაკმაროთ



**სამშაბათის შესარჩევი რაუნდი აზერბაიჯანმაც მოიგო, სომხეთმაც. ჰოდა, ჩვენ რა უფლება გვქონდა, მეზობლებს ჩამოვრჩენოდით.**

არ გვქონდა და 90 წუთი ლატვიაში გამარჯვებამდე მივიყვანეთ კიდეც. მაგრამ ჩვენს გუნდსა და მის შეფებს, უკვე მერამდენედ, დაავიწყდათ, რომ მატჩი მხოლოდ 90 წუთის განმავლობაში კი არ გრძელდება, არამედ მსაჯის საფინალო სასტვენამდე.

ალბათ, ბედის ირონიაა, რომ მალტელებთან რამდენიმე დღის წინათ „ჯვაროსანთა“ სასარგებლოდ დასრულებული შეხვედრის მსგავსად, კვანძი ამჯერადაც 91-ე წუთზე გაიხსნა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ბალტიისპირეთში გამართული ბრძოლის შემდეგ სასურველი შედეგის მიღწევით მეტოქენი ხარობდნენ. თუ ობიექტური ვიქნებით, სამართლიანა-



დაც, რადგან როცა „ევრო-2010“-ის ფინალურ ეტაპზე გასვლის პრეტენზია გაქვს, ალექსანდრე სტარკოვის შეგირდებს, თუნდაც სტუმრად, ორზე მეტი სახიფათო მომენტი უნდა შეუქმნა.

**ლატვია – საქართველო 1:1 (0:0)**

**ლატვია:** ვანინი, კლიავა, ასტაფიევი, ლაიზანსი (გრებისი), ივანოვი, კაუნი, რუბინი, გორშკსი, ზირნისი, რუდნევი, ჟიგაევი (პერეპლიოტკინი).

**საქართველო:** რევიშვილი, ლობჟანიძე, ასათიანი, ამისულაშვილი, კალაძე, დაუშვილი, ანანიძე (სალუქვაძე), კვირკველია (გოგუა), კობიაშვილი, იაშვილი (კოშკაძე), სირაძე.

**მსაჯი:** ჟორჟ სოუზა (პორტუგალია).

**გოლები:** სირაძე (74-ე წთ), კაუნი (91-ე წთ).

**გაფრთხილება:** კლიავა, გორკშსი, სირაძე, გოგუა, რევიშვილი.

ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას, რომ ძეცბაიამ კუნძულელებთან წარმატებული თამაშის შემდეგ შემადგენლობის ნახევარი შეცვალა. თუ ხიზანიშვილზე უარის თქმა დისკვალიფიკაციის გამო იძულებით მოუხდა (სხვათა შორის, სწორედ მისი დუბლიორი დაუშვილი იყო ანანიძესთან ერთად საუკეთესო პარტნიორთა შორის), ლობჟანიძე, კვირკველია, იაშვილი და სირაძე სასტარტო თერთმეტეულს გარკვეული პაუზის შემდეგ დაუბრუნდნენ. მწვრთნელის კომპეტენციაში ჩარევას როგორ გავბედავთ, მაგრამ მართლაც რომ არასასიამოვნოდ გაგვაკვირვა სათადარიგოთა სკამზე გოგუას გამწესება. და ეს მაშინ, როცა ისეთი ოსტატი არა გვყავს, რომელსაც ბურთის დაჭერა და ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრთა ტემპის რეგულირება შეუძლია.

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ჩვენებურთა ახალი თავკაცის ტაქტიკურ მიგნებებსა და დაუმარცხებელ სერიაში დადებითს ვერ ვამჩნევდეთ. არავითარ შემთხვევაში. მაგალითად, დილეტანტიც შენიშნავდა, რომ ბიჭები თანდათან მინდვრის ცენტრის სწრაფად, ერთი შეხებით გადალახვას ცდილობენ და ეპიზოდურად ახერხებენ კიდეც, მაგრამ დაგვეთანხმებით, ამბიციურ გუნდსა და, განსაკუთრებით, ძველი თაობების შედევრებით განებივრებულ მის პრეტენზიულ გულშემატკივარს ეს არ აკმაყოფილებს.

29 მარტამდე, როცა ჯგუფის ფავორიტ ხორვატებს ვუმასპინძლებთ, სრულყოფის დასაჩქარებლად დრო საკმარისზე მეტი გვაქვს. მთავარია, იგი ფუჭად არ გავფლანგოთ.

**„ა“ ჯგუფი.** ყაზახეთი – გერმანია 0:3, აზერბაიჯანი – თურქეთი 1:0, ბელგია – ავსტრია 4:4.

გერმანია – 12, ავსტრია – 7, თურქეთი – 6, ბელგია – 4, აზერბაიჯანი – 3, ყაზახეთი – 0 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** მაკედონია – რუსეთი 0:1, სომხეთი – ანდორა 4:0, სლოვაკეთი – ირლანდია 1:1.

რუსეთი – 9, ირლანდია, სომხეთი, სლოვაკეთი – 7-7, მაკედონია – 4, ანდორა – 0 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** ფარერები – ჩრდ. ირლანდია 1:1, ესტონეთი – სლოვენია 0:1, იტალია – სერბეთი (ჩაიშალა).

იტალია, სლოვენია – 7-7, ესტონეთი – 6, ჩრდ. ირლანდია – 5, სერბეთი – 4, ფარერები – 1 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** საფრანგეთი – ლუქსემბურგი 2:0, ბელარუსი – ალბანეთი 2:0.

საფრანგეთი – 9, ბელარუსი – 8, ალბანეთი – 5, ბოსნია – 4, რუმინეთი – 2, ლუქსემბურგი – 1 ქულა.

**„ე“ ჯგუფი.** ფინეთი – უნგრეთი 1:2, ჰოლანდია – შვედეთი 4:1, სან-მარინო – მოლდოვა 0:2.

ჰოლანდია – 12, უნგრეთი – 9, შვედეთი, მოლდოვა – 6-6, ფინეთი, სან-მარინო – 0-0 ქულა.

**„ვ“ ჯგუფი.** ლატვია – საქართველო 1:1, საბერძნეთი – ისრაელი 2:1.

საბერძნეთი – 8, ხორვატეთი – 7, საქართველო – 6, ისრაელი, ლატვია – 4-4, მალტა – 0 ქულა.

**„ზ“ ჯგუფი.** ინგლისი – ჩერნოგორია 0:0, შვეიცარია – უელსი 4:1.

ჩერნოგორია – 10, ინგლისი – 7, შვეიცარია, ბულგარეთი – 3-3, უელსი – 0 ქულა.

**„თ“ ჯგუფი.** დანია – კვიპროსი 2:0, ისლანდია – პორტუგალია 1:3.

ნორვეგია – 9, პორტუგალია – 7, დანია – 6, კვიპროსი – 1, ისლანდია – 0 ქულა.

**„ი“ ჯგუფი.** შოტლანდია – ესპანეთი 2:3, ლიხტენშტეინი – ჩეხეთი 0:2.

ესპანეთი – 9, ჩეხეთი – 6, შოტლანდია, ლიტვა – 4-4, ლიხტენშტეინი – 0 ქულა.

**გია პლატონიშვილი**

ჭადრაკი

# „ოქრო“ ყაჭეიშვილს ხვდა



**ამერიკის 2010 წლის კონტინენტურ ჩემპიონატს ჭადრაკში არლინგტონმა (აშშ) უმასპინძლა. უმაღლეს დივიზიონში პირველობისთვის სხვადასხვა ქვეყნის 64 წარმომადგენელი იბრძოდა.** ყველას ამჟამად ამერიკაში მცხოვრებმა ქართველმა დიდოსტატმა გიორგი ყაჭეიშვილმა აჯობა, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 7 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა. საპრიზო ფონდიდან (100 000 დოლარი) მას 10 ათასი დოლარი ერგო. 6,5-6,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებზე ალექსანდრ შაბალოვი, გრიგორი კაიდანოვი და სერგეი კუდრინი (ყველა – აშშ) გავიდნენ.

**გივი გაგუა**

რაგბი

# კვარტეტში ადგილები განაწილდა

**ამას წინათ გაუწყეთ, რომ საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის მე-13 ტურში რუსთავის „ხარებისა“ და „არმაზის“ შეხვედრა ჩხუბის გამო ჩაიშალა.** საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა „არმაზს“ წაგება ჩაუთვალა და ქულა დააკლო. დასჯილებმა გადაწყვეტილება გაასაჩივრეს. რაგბის კავშირის გამგეობამ ინციდენტი ხელახლა განიხილა და სადისციპლინო



კომიტეტის ვერდიქტი შეცვალა: გუნდებს პირობითი სასჯელი მიეცათ და მატჩი გადათამაშდება. აი, მე-14 ტურში კი ისინი კვლავ დამარცხდნენ. „არმაზს“ „ვისოლი-ყოჩებმა“ აჯობა 40:26, ხოლო „ხარები“ ქვეყნის ჩემპიონმა „ლელომ“ დაამარცხა 46:14, რითაც რეგულარული გათამაშება პირველ ადგილზე დაასრულა. ლიდერმა „აიამ“ ბოლო მატჩი „ლოკომოტივთან“ დათმო 6:12 და მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. „აკადემიამ“ აუტსაიდერ „ბათუმი XV“-ს მოუგო 26:10.

საპლეიოფო კვარტეტში ადგილები ასე განაწილდა: 1. „ლელო“ (20 ქულა), 2. „ლოკომოტივი“ (20), 3. „ყოჩები“ (19), 4. „აია“ (18).

**ლექსო ცინცაძე**

64 უჯრა

# საშამათო ქსელში

**ალექსანდრია – კრისტოლი**
**1969**



**ნანას შტურმი მეფის ფრთაზე გამოუვალ საშამათო ქსელში აბამს მეტოქეს**

1. მf7+ – მფg8
2. ლd5 – მb6
3. მh6+ – მფh8
4. ე:f8+ – ე:f8
5. ე:f8+ – (შავები დანებდნენ)

**ნადარეიშვილი**
**1947**



**მოგება**

**მოუსვენარი ეტლის ყოველგვარი მცდელობა ვერ იხსნის მეფეს ტყვეობიდან**

1. კc3 – e1ლ!
2. კ:e1 – ლd5+
3. მფb6 – ე:a5
4. კc3! – ეa8
5. მფb7 – ეf8
6. მf5+ – მფg8
7. მh6×

**მოამზადა თამაზ შენგელიამ.**

ინტერნეტიდან

## მორიგი მსხვერპლი

**კრივის საერთაშორისო (IBF) და მსოფლიო (WBO) ორგანიზაციების ვერსიით უმძიმეს წონაში მსოფლიოს უკრაინელმა ჩემპიონმა ვლადიმერ კლიჩკომ და ინგლისელმა დერეკ ჩისორამ ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომლის თანახმადაც 12-რაუნდიან სატიტულო ბრძოლას 11 დეკემბერს გერმანიის ქალაქ მანჰაიმში გამართავენ.**

ვინაიდან სწორუპოვარ კიეველზე ახალს ვერაფერს მოგახსენებთ, უმჯობესია მისი მორიგი მეტოქე წარმოგიდგინოთ. ბრიტანეთისა და თანამეგობრობის ქვეყნების 26 წლის ჩემპიონი წარმოშობით ზიმბაბველანაა. მან პროფესიულ რინგზე თოთხმეტივე დუელი მოიგო, აქედან ცხრა – ნოკაუტით. განსაკუთრებით აღსანიშნავია დენი



უილიამსთან და სემ სექსტონთან მოპოვებული გამარჯვებები.

## ახალ ამპლუაში




**რუსეთის ნაკრების ლიდერი ანდრეი არშავინი სასკოლო სახელმძღვანელოს ფურცლებზე მოულოდნელი რაკურსითაა წარმოჩენილი. ამჟამად ლონდონის „არსენალის“ მოთამაშის მაგალითზე განხილულია ადამიანის ორგანიზმის შემადგენელი ქიმიური ელემენტები.**

შესაბამისი დიაგრამა ამა თუ იმ ნივთიერების პროცენტული შემცველობით მოცემულია იმ ფოტოს ილუსტრაციით, რომელშიც სლავი ფეხბურთელი გამოწყობილია მისი ძველი კლუბის – სანქტ-პეტერბურგის „ზენიტის“ ფორმაში (თეთრი მაისური და თეთრი ტრუსი).

როგორც გამომცემლობა „დროფაში“ დაბეჭდილი ნაწარმოებიდან ირკვევა, არშავინს მოჭარბებულად ჟანგბადი (62,4 პროცენტი) ჰქონია. შემდეგ მოდიან ნახშირბადი (20,7 პროცენტი), წყალბადი (9,9 პროცენტი), აზოტი (5 პროცენტი), აგრეთვე რკინა, თუთია, მარგანეცი, ბორი, ფტორი.

## ტოტის შემოდგომა

**„რომას“ 34 წლის კაპიტნის ფრანჩესკო ტოტის მდიდარ კოლექციას კიდევ ერთი ჯილდო შეემატა. ამჯერად მარადიული ქალაქის მკვიდრს „ოქროს ფეხი“ გადაეცა.**

ალნიშნული პრიზი უკვე მერვედ გათამაშდა 29 წელს გადაცილებულ ვეტერან ფეხბურთელთათვის და იტალიური კლუბის წევრმა იგი მეექვსედ მოიპოვა: ბაჯო („ბრეშია“, 2003), ნედვედი („იუვენტუსი“, 2004), შევჩენკო („მილანი“, 2005), რონალდო („რეალი“, 2006), დელ პიერო („იუვენტუსი“, 2007), რობერტო კარლოსი (ფენერბახჩე“, 2008) და რონალდინიო („მილანი“, 2009 წელი).



დავძენთ, რომ ახალმა ლაურეატმა გამოკითხულ გულშემატკივართაგან 25738 ხმა მოაგროვა და თითქმის 2000 ხმით გაუსწრო „შალკეს“ დებიუტანტ რაულს.

წლები

# მთელი ცხოვრება — ქვეყნისა და საქმის ერთგულებით

**მიმდინარე წელს გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს ლევან ჭილაშვილს 80 წელი შეუსრულდებოდა.**

**აკადემიკოს ლევან ჭილაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა უკავშირდება ანტიკური და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიურ შესწავლას. 1960 წლიდან ლევან ჭილაშვილი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის წევრი, ხოლო 1968 წელს იგი აირჩიეს ამ კათედრის პროფესორად.**



ლ.ჭილაშვილის პროფესიული ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამუზეუმო საქმიანობასთან. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს ლევან ჭილაშვილი 1974 წლის 29 მარტიდან ჩაუდგა სათავეში. მუზეუმის ხელმძღვანელობასთან ერთად ბატონი ლევანი ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას, რომელიც მოიცავდა საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის პრობლემების კვლევას, ძირითადად კი ანტიკური და შუა საუკუნეების ქართული ქალაქების შესწავლას. სწორედ მისი საფუძვლიანი კვლევის შედეგია, რომ წარმატებით გადაწყდა შუა საუკუნეების ქართული ქალაქების განვითარების გენეზისისა და პერიოდიზაციის უმნიშვნელოვანესი საკითხები. მისი სამეცნიერო კვლევის არეალში იყო არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ძეგლებისა და წერილობითი წყაროების ერთობლივ ანალიზზე დამყარებული წარმართული რელიგიის, მონასტიციზმისა და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხების შესწავლა, რასაც რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა, მათ შორის მონოგრაფიები („ქალაქი რუსთავი“, „ნაქალაქარი ურბნისი“, „ქალაქები ფეოდალურ საქართველოში“, „ძველი გავაზი“, „კახეთის ქალაქები (XIV-XVIIIსს.)“, „არეში“, „ნეკრესის წარმართული სამლოცველოები“, „ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები“ და სხვ.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი დრო, ენერგია და ძალისხმევა სჭირდება ადმინისტრაციულ მუშაობას და თვალით შეუმჩნეველ სამუზეუმო საქმიანობას. ბატონი ლევანი დირექტორის ამპლუაში წარმოგვიდგა, როგორც ჭილაშვილების ცნობილი გვარის ღირსეული წარმომადგენელი, სიდარბაისლით გამორჩეული პიროვნება და ზედმეტი ამბიციებისაგან სრულიად თავისუფალი ხელმძღვანელი, რომელიც გვერდზე არ დგებოდა, თუ საქმე ეხებოდა მუზეუმის ინტერესების დაცვასა და ერის ღირსების საქმეს.

ბატონი ლევანის ხელმძღვანელობის პერიოდს ემთხვევა საქართველოსა და კავკასიის ბუნების ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის მიმართულებებით საველე საექსპედიციო მუშაობის ფართოდ გაშლა, სტაჟირებები — რუსეთის, ბალტიის ქვეყნებისა და დასავლეთის სამეცნიერო ცენტრებში, აგრეთვე თანამშრომელთა ექსკურსიები საქართველოს ისტორიულ ადგილებში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ლევან ჭილაშვილის პროგრესული აზროვნება და სიახლეებისაკენ სწრაფვა, რისი ერთ-ერთი გამოხატულება იყო ახალგაზრდა მეცნიერებისთვის ასპარეზის მიცემა.

1982 წელს მას მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 1988 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 2001 წელს კი — აკადემიკოსად.

1997 წელს მას მიენიჭა სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია. 2002 წელს ლევან ჭილაშვილი გახდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ამავე წელს დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

2003 წელს აკადემიკოს ლ.ჭილაშვილს მიენიჭა მუზეუმის საიუბილეო ვერცხლის მედალი (რომელსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა), იყო ღირსების ორდენის კავალერი და საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990-1991 წწ). მისი ხელმოწერა დაფიქსირებულია საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტზე.

ლევან ჭილაშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართული ისტორიული და არქეოლოგიური მეცნიერების განვითარებას, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და მის მრავალმხრივ წარმოჩინებას, ასევე ღრმა კვალი დატოვა საქართველოს მუზეუმის ცხოვრებაში და საზოგადოებრივი მეცნიერების განვითარებაში. ბატონი ლევანი უხმაუროდ ემსახურებოდა საკუთარ სამშობლოს. ქვეყნისადმი და საქმისადმი მისი საოცარი ერთგულება კი მისაბაძი მაგალითია მომავალი თაობებისათვის.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,**
**საქართველოს ეროვნული მუზეუმი**

ხსოვნა

# ვახტანგ გუნაშვილი



გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ყოფილი სოლისტი, კონსულტანტი ვახტანგ გუნაშვილი.

ვახტანგ გუნაშვილი დაიბადა 1925 წლის 12 თებერვალს თბილისში. სწავლობდა თბილისის რკინიგზის საინჟინრო ინსტიტუტში. 1946-49 წლებში იყო სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი. 1948-50 წლებში სწავლობდა ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებულ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში.

1951 წელს ვახტანგ გუნაშვილი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი გახდა. მისმა შესანიშნავმა სცენურმა მონაცემებმა, ვირტუოზულმა ტექნიკამ, მაღალმა პროფესიონალიზმმა იმთავითვე მიიქცია ქართველი მაყურებლის ყურადღება და მოცეკვავეთა იმ შესანიშნავი პლეადის წევრი გახდა, რომლებიც 50-იანი წლებიდან ამშვენებდნენ ჩვენი თეატრის სცენას. რაფინირებული საცეკვაო ტექნიკა, შესანიშნავი გარეგნობა, გამორჩეული არტისტიზმი ვახტანგ გუნაშვილს საშუალებას აძლევდა მაღალმხატვრულ დონეზე შეესრულებინა ქართული, რუსული და მსოფლიო საბალეტო რეპერტუარის ურთულესი მთავარი პარტიები: ბაზილი „დონ კიხოტში“, პა-დე-ტრუა „გედების ტბაში“, ჯარჯი „მთების გულში“, იაგო „ოტელოში“, მამია „გორდაში“, დემონი „დემონში“ და სხვა. საბალეტო სპექტაკლების გარდა, ვახტანგ გუნაშვილი, როგორც ქართული ცეკვების ჩინებული შემსრულებელი, მუდმივად მონაწილეობდა ქართულ ოპერებში: „დაისში“, „აბესალომ და ეთერში“, „კაკო ყაჩაღში“, „მთვარის მოტაცებაში“ „ლელაში“, „მინდიაში“.

ვახტანგ გუნაშვილი გასტროლებით იმყოფებოდა ევროპისა და ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში და ყველგან დიდ მოწონებას იმსახურებდა მისი ხელოვნება.

ვალმოხდილი მოცეკვავის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრების, ახლობლებისა და ქართველ მაყურებელთა გულში.

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის**
**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი**

---



გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ყოფილი სოლისტი, კონსულტანტი

ვახტანგ გუნაშვილი.

ქართველ მაყურებელს ახსოვს მისი საოცარი ცეკვა, დახვეწილი ილეთები, მაღალი პროფესიონალიზმი, არტისტული ბუნება. მან მსოფლიო საბალეტო თეატრის ურთულესი პარტიები შეასრულა. ცეკვას „ქართული“ მისეული, განუმეორებელი ხიბლი შესძინა.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით ეთხოვება ბატონ ვახტანგს და თანაუგრძნობს ოჯახს.

**მერაბ ბერძენიშვილი**

---

# ფრიდონ სიხარულიძე



ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა — 73 წლის ასაკში გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ფრიდონ მოსეს ძე სიხარულიძე.

იგი დაიბადა 1937 წლის 9 სექტემბერს სოფ. გოგოლესუბანში (ჩოხატაურის რ.ქ. 1945 წელს სწავლა დაიწყო მშობლიური სოფლის სკოლაში, ხოლო შემდგომ წარმატებით დაამთავრა ბათუმის მეცხრე საშუალო სკოლა.

ფრ. სიხარულიძე უმაღლესი სასწავლებლის (ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტიძ დასრულების შემდეგ სწავლას აგრძელებს ასპირანტურაში (ხელმძღვანელი პროფ. ვ. დონდუაძ და 1969 წელს წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას.

იგი ავტორია 200-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციისა, რომელთაგან განსაკუთრებით გამოსარჩევია მონოგრაფია „მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან“.

მკვლევარის ნაშრომთა ღირსება მარტოოდენ სამეცნიერო ანალიზის სიღრმე და სტილის სისადავე კი არ არის, არამედ მის მიერვე ჩვენი, რუსეთის, უკრაინისა თუ სხვა ქვეყნების სიძველეთსაცავებში მოპოვებულ საარქივო ჩვენებათა სიმდიდრეც. ამ მხრივ ფრ. სიხარულიძეს ძნელად თუ ვინმე დაუდებს ტოლს სამამულო მეცნიერებაში.

მეცნიერის კვლევა-ძიების შედეგების ერთი ნაწილი შეჯამებულია მის სადოქტორო დისერტაციაში.

ფრ. სიხარულიძე წარმატებით ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც.

მიუხედავად მძიმე სნეულებისა, ბატონი ფრიდონი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე სახავდა სამომავლო სამოღვაწეო გეგმებს, რომელთა განხორციელებაც მან, სამწუხაროდ, ველარ შესძლო, თუმცა იმ ღვაწლის გამო, რაც მას მიუძღვის ქართული მეცნიერების წინაშე, მის სახელს დავიწყება არ უწერია.

**ღვთისშვილთა კავშირი, თბსსუ, ტბელ აბუსერისძის საზოგადოება,**
**სიხარულიძეთა საგვარეულო კავშირი**

## განცხადება

**2010 წლის 6 დეკემბერს, 11 საათზე, ქ. თბილისში, ფონიჭალის სადემილიტარიზაციო ბაზის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება მართვადი და უმართავი რაკეტების სადემილიტარიზაციო საწარმოს ფუნქციონირების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.**

მიმდინარე საქმიანობის მიზანია საქართველოს სამხედრო ბაზებში თავმოყრილი, მიზნობრივად გამოუყენებადი და ამასთან, როგორც ფეთქებადი, ცეცხლგამჩენი საფრთხის და ეკოლოგიური თვალსაზრისით მაღალი რისკფაქტორის მქონე საბრძოლო რაკეტების დემილიტარიზაცია-გაუვნებელყოფა.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის „დელტას“ ოფისში — ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73 . ტელ: 8 (32ძ 96 99 65;
- სამეცნიერო-კვლევით ფირმა „გამას“ ოფისში — ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. №9. ტელ: 36 40 45.

**საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2010 წლის 1 დეკემბრის 18 საათამდე.**

**სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის „დელტას“ ადმინისტრაცია**



**შვილები მიხეილ, ვახტანგ შარაშენიძეები, რძლები მარიამ კეკელიძე, ნათელა მეგრელიშვილი, ზაირა ხუნდაძე, შვილიშვილები ელენე, ვახტანგ შარაშენიძეები, ძმები გიორგი, თეიმურაზ ხაზარაძეები, მძახლები ქეთევან ჯაფარიძე, ლეო კეკელიძე, ძმისწულები, დისწულები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ელენე ხაზარაძე**

**პანაშვიდი 15, 16 X, 17 სთ. გამოსვენება 17 X, 15 სთ. მისამართი: ალ. ყაზბეგის (ყოფილი პავლოვისძ გამზირი №24, მე-8 სადარბაზო, მე-15 სართული, ბინა 288.**

---

**გიორგი ხაზარაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უფროსი დის**

**ელენე ხაზარაძე-შარაშენიძის**

**გარდაცვალებას.**

---

**ვიტალი ხაზარაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქალბატონი**

**ელენე ხაზარაძე-შარაშენიძე**

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

**დღესასწაული**

# სვეტიცხოვლობა



**14 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს საუფლოისა და კვართისა და ღვთაებრ ბრწყინვალე მირონმდინარე სვეტისა ბრწყინვალე დღეს, ასევე — მცხეთობა-სვეტიცხოვლობას, საფარველისა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, სამოციქულოთა სწორისა მეფისა მირიანისა და დედუფლისა ნანასი, წმინდა სიდონიასი და აბიათარ მღვდელისა, ურიაყოფილისა, საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქისა, სვეტიცხოვლის გამამშვენებელ-განმაახლებლის, წმიდისა მელქისედექ პირველისა.**

საქართველოში არსებულ სიწმინდეთა შორის ყველაზე დიდი სვეტიცხოვლის ტაძარია. IV საუკუნეში აქ ხის ეკლესია აუგიათ. მშენებლობისას, თურმე ერთი სვეტი ვერაფრით ჩაასვეს მიწაში, წმინდა ნინოს ლოცვით ანგელოზმა ზეცად აიტაცა სვეტი, მერე კი ის, ღვთაებრივი ნათლით შემოსილი, ნელ-ნელა დაეშვა დაბლა და ზუსტად იმ ადგილას გაჩერდა, სადაც უფლის კვართია დაფლული... მის გარშემო აიგო სვეტიცხოვლის ტაძარი.

...ამბობენ, მცხეთელ ებრაელ ელიოზს, რომელიც ქრისტეს ჯვარცმაზე გაემგზავრა იერუსალიმს, ქრისტეს სამოსელის გაყოფისას წილად ხვდა მისი კვართი, მცხეთაში დაბრუნებულ ელიოზს შეეგება მისი და სიდონია, რომელმაც კვართი გულში ჩაიკრა და მაშინვე სული განუტევა; სიდონია კვართით ხელში სამეფო ბაღში დაუკრძალავთ.

მოგვიანებით სიდონიას საფლავზე ლიბანის კედარი ამოსულა, როცა მეფე მირიანმა და დედუფალმა ნანამ აბიათარ მღვდლის ნაჩუქარი წიგნები წაიკითხეს, მაშინვე გადაწყვიტეს ქრისტეს რჯულზე მოქცევა. მეფემ სამეფო ბაღში ტაძრის აგება დაიწყო... სწორედ ამ მეშვიდე სვეტის, რომელიც ჰაერში გაჩერდა, თაყვანის საცემად მიდიოდა უამრავი ავადმყოფი და იკურნებოდა...

სწორედ ეს იყო სვეტი ცხოველი, სვეტი სიცოცხლის მომნიჭებელი, და ტაძარსაც მისი სახელი ეწოდა.

საგულისხმოა, რომ სვეტიცხოვლის აღდგენა-გამშვენების 1000 წლისთავთან დაკავშირებით მთელი წლის განმავლობაში საეპისკოპოსო წირვები აღევლინებოდა სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში, რომელიც 14 ოქტომბერს დიდი დღესასწაულით დასრულდება.

**სულიერება**

# წმინდა დიდმოწამენი – დავით და კონსტანტინე მხეიძეები



**15 ოქტომბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია არგვეთის მთავართა — დავით და კონსტანტინე მხეიძეების ხსენების დღეს დღესასწაულობს. VIII საუკუნეში, როცა მურვან-ყრუმ საქართველო ააოხრა, არგვეთელი მთავრები ტყვედ ჩაიგდო. ძმებს სიკვდილით დასჯა დაუპირეს...**

...ურჯულოებმა ძმები წყალწითელას ნაპირზე გაიყვანეს, სასტიკად სცემეს და მდინარეში გადაყარეს.

ქართველებმა მოწამეთა ნაწილები მდინარის ნაპირზე მდგარ მურვან-ყრუს მიერ დანგრეულ ტაძარში დაკრძალეს.

...ბაგრატ მეფის ბრძანებით მხეიძეთა წმინდა ნაწილები ახალ აშენებულ მონასტერში დაასვენეს. მორწმუნეებს სულიერი თუ ხორციელი ტკივილისაგან აღადგენს ღმრთისგან მადლმოსილი ნაწილები.

15 ოქტომბერს განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავენ მოწამეთა ტაძარში, რომელიც, მეცნიერთა აზრით, მეფე ბაგრატ IV-ის მიერ უნდა იყოს აგებული.

**გიული ლიპარტია**

**ანეკდოტები**

ჩვენს დროში სიკეთის ქმნა მტრედების გამოკვებას წააგავს.

რაც უფრო მეტ პურს გასცემ, მით უფრო მეტი ნეხვი დაგაცვივა მერე თავზე...

* * *

სხედან ტიპები, სვამენ.

— ჩემს კატას პენოპლასტს ვეძახი. რამდენჯერაც არ უნდა დაუპირო ჩაძირვა, იმდენჯერ ამოყვინთავს. — ამბობს ერთი.

— მე ჩემსას ბუმერანგი დავარქვი. რამდენჯერაც გავაგდე სახლიდან, იმდენჯერ დაბრუნდა, — ამბობს მეორე.

— ჩემსას კი ჯორდანო ბრუნო ჰქვია, — თქვა მესამემ.

— უჰ, რა სადისტი ყოფილხარ! — ერთხმად წამოიძახეს მისმა თანამეინახეებმა.

— რატომ, კაცო, უბრალოდ მას ვარსკვლავების ყურება უყვარს.

* * *

ცოლი ოთახში შევიდა და ქმარს ეუბნება:

— ძვირფასო, ნაგავი გაიტანე!

— მაგრამ მე ხომ ახლაღა დავჯექი, — ამოიოხრა ქმარმა.

— აქამდე რას აკეთებდი? — თანაგრძნობით ჰკითხა ცოლმა.

— ვიწექი!

* * *

ღამეა, შორი რეისების მძღოლი გზის გასწვრივ ფერდობზე ლურჯ სინათლეს ხედავს. უფრო ახლოს რომ მივიდა, ლურჯად მბრწყინავი თვალებიანი კაცუნა დაინახა, რომელიც წაყვანას სთხოვდა.



გაუჩერა. კაცუნამ კარი გამოაღო:

— ქალაქამდე ვერ წამიყვანთ?

— ჯერ ის მითხარი, თვალები რატომ გაქვს ლურჯი ფერის?

— იცით, მე პედერასტი ვარ, პლანეტა ვენერადან. იქ ყველანი ასეთი ვართ. ქალაქში კი ჩვენი საფრენი აპარატისთვის სათადარიგო ნაწილების ყიდვა მინდა.

— რომ წაგიყვანო, გზაში შენებურს ხომ არ დამიპირებ რამეს?

— არა, ჩვენ დედამიწელები არ გვაინტერესებს.

— მაშინ დაჯექი...

მიდიან. ერთ ადგილას ხედავენ იგივე სიტუაციას. ოღონდ ფერდობზე უკვე წითელი შუქი ანთია და ხალხის თვალებიც წითლად ბრწყინავს. ერთი მათგანი ანიშნებს, გამიჩერეო.

გაუჩერეს.

— რა გინდა?

— იცით, მე პედერასტი ვარ. პლანეტა მარსიდან. იქ ყველა ჩემნაირია, წამიყოლეთ ქალაქამდე.

— რომ წაგიყვანო, გზაში მე და ამ ვენერიანელს ხომ არ შეგვიჩნდები?

— არა, თქვენ მე არ მაინტერესებთ.

— მაშინ დაჯექი.

მიდიან. ერთ ადგილას უკვე ორ მოციმციმე ფერს ხედავენ — ლურჯსა და წითელს.

მძღოლმა მათ სიახლოვეს დაამუხრუჭა.

— ეი, თქვე პედერასტებო, საითკენ გიჭირავთ გეზი?

— პედერასტებიო?! მოქალაქევ, აბა, ერთი საბუთები გვაჩვენეთ...

**შევიძენ**

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს.

855-42-05-82.

**დღის კალენდარი** 14 ოქტომბერი



ამოდის 06.12
ჩადის 17.22



ამოდის 13.01
ჩადის 22.37

დღესასწაული საუფლო კვართისა საუფლოისა და სვეტისა ღვთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა. საფარველი ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. მცხეთობა — სვეტიცხოვლობა. მოციქულთა სწორთა: მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანასი; წმიდა სიდონიასი და აბიათარ მღვდელისა, ურიაყოფილისა. წმიდა მელქისედეკ I საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა (XIIს, მოციქულ ანანიასი, სამეოცდაათთაგანისა (Iს; ღირსი რომანოზ ტკბილადმგალობელისა (Vს; მოწამე დომნინე თესალონიკელისა (IVს; ღირსი მოწამე მიქაელისა – ზობიელ იღუმენისა და მასთან 36 ღირსი მოწამეთა (780-790ს.

## დაიბადნენ:

**1585 — ჰენრიხ შიუტცი,** გერმანელი კომპოზიტორი, კაპელმეისტერი, ორღანისტი, პედაგოგი, გარდაიცვალა 1672 წელს.
**1804 — გრიგოლ ორბელიანი,** პოეტი. გარდაიცვალა 1883 წელს.
**1842 — ვასილ ვერეშჩაგინი,** რუსი ფერმწერი, გარდაიცვალა 1904 წელს.
**1881 — მიხეილ ზანდუკელი,** ლიტერატურათმცოდნე, გარდაიცვალა 1968 წელს.
**1890 — დუაიტ დევიდ ეიზენჰაუერი,** აშშ-ს 34-ე პრეზიდენტი, გარდაიცვალა 1969 წელს.
**1891 — გრიგოლ რობაქიძე,** მწერალი, გარდაიცვალა 1956 წელს.
**1895 — სიმონ ყაუხჩიშვილი,** ფილოლოგი, აკადემიკოსი, გარდაიცვალა 1981 წელს.

## გარდაიცვალნენ:

**1956 — იუხო კუსტი პაასიკივი,** ფინეთის პრემიერ-მინისტრი (1918; 1944-1946ს, 1946 წლიდან ფინეთის პრეზიდენტი, დაიბადა 1870 წელს.
**1960 — აბრამ იოფე,** საბჭოთა ფიზიკოსი, აკადემიკოსი, დაიბადა 1880 წელს.

## მოვლენები:

**1933 წელი** — გერმანია გამოვიდა ერთა ლიგიდან და გამოიწვია თავისი დელეგაცია განიარაღების კონფერენციიდან.
**1944 წელი** — ბრიტანეთის ჯარმა გაათავისუფლა ათენი გერმანელი ფაშისტებისაგან.
**1964 წელი** — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი გახდა.
**1981 წელი** — ხოსნი მუბარაქი ეგვიპტის პრეზიდენტი გახდა.
**2002 წელი** — საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

**მედიანიუსი**

**იყიდება სასწრაფოდ!**

**ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკე)**

საუკეთესო ფართობი (180 კვ.მ) საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი) გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

**აგარაკი ტაბახმელაში**

ულტრათანამედროვე სააგარაკო შენობა, ყველანაირად კეთილმოწყობილი, ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 899 24 17 71, 899 16 93 57.

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 16 ოქტომბერს**

**კადრი**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.